ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 52 (20093) ოთხშაბათი, 2 მარტი, 1988 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ძმობის ფესვები: აჭარა

ხელიხელჩაკიდებული

ბრძენს უთქვამს — ხე ფესვებით არის ძლიერი, ადამიანი — მეგობრობითაო. ამის ნათელ მაგალითს იძლევა ჩაქვის აგროსამრეწველო კომბინატის მრავალეროვანი კოლექტივი: ქართველი და რუსი, უკრაინელი და ბელორუსი, სომეხი და ბულგარელი, პოლონელი და აზერბაიჯანელი — სულ 19 ეროვნების წარმომადგენლები ხელიხელჩაკიდებული ქმნიან ახალ ცხოვრებას.

ისტორიამ შემოგვინახა ფოტოდოკუმენტები, რომლებზეც აღბეჭდილია გაშლილი კარვები, ყაზარმული ტიპის სახლები. იმ სახლებისა და კარვების წინ დგანან ადამიანები, მათი ჩაცმულობითა და სახით ადვილად მიხვდები — ისინი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები არიან. პირველი კვალგამყვანების წყალობით შენდება მაშინდელი ჩაქვის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც ახლა 1000 ჰექტარი უჭირავს. ადამიანთა გამრჯე მარჯვენამ ათასწლოვანი დაბურული წიფლნარი და ეკალბარდით დაფარული დაბლობები ედემის ბაღად აქცია. ჩაქვის ახლანდელი ზღვისპირეთი იმდენად თვალწარმტაცია, რომ მის სანახავად ქვეყნის შორეული კუთხეებიდანაც კი ჩამოდიან, იღებენ კინოსურათებს, მხატვრებს ტილოზე გადააქვთ მისი განუმეორებელი სილამაზე. წლის რომელ დროსაც უნდა მოხვიდეთ ჩაქვის ზონაში, აქ ყველაფერი მწვანედ ბიბინებს. ჩაი და ციტრუსი, ევკალიპტი და კვიპაროსი, ბამბუკი და პალმა, — აი ჩაქველთა სიმდიდრე და სილამაზე.

1924 წლის იანვარში დიდი ლენინისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე ჩაქველებმა ფიცი დადეს, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებდნენ ბელადის ანდერძის შესასრულებლად. ლენინის გარდაცვალების პირველსავე წლისთავზე მშრომელთა მოთხოვნით მეურნეობას ვ. ი. ლენინის სახელი მიეკუთვნა. შემდგომში კი მეურნეობა ჭეშმარიტი ლენინური მეგობრობის სიმბოლოდ იქცა.

— 1924 წლის გაზაფხულზე ჩაქვის მეურნეობაში დედაჩემმა პირველად ჩამომიყვანა, მაშინ 14 წლის ვიყავი, — იგონებს შრომის ვეტერანი, სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა მაშინისტოვა-ცინცაძე, — მაშინ ითესებოდა და ირგვებოდა ჩაის კულტურა.

გოგონა კარგად დაეუფლა მისთვის უცხო მცენარის მოვლასაც და კრეფის ტექნიკასაც. შემდგომში თავდადებული შრომით გაითქვა სახელი. მოგვიანებით ტატიანამ თავისი ბედი ქართველს დაუკავშირა და გვარიც ქმრის მიიღო — ცინცაძე. ამ ხნის განმავლობაში ტატიანამ დაახლოებით 400 ტონა ჩაი მოკრიფა.

წინა თაობის წარმომადგენლები, ლენინური გვარდიელები, ორდენოსნები გ. ტიკარაძე, ვ. დოლიძე, ნ. ლორია, ფ. გიგინეიშვილი და სხვები ტატიანა მაშინისტოვას მსგავსად თავდადებული შრომით ქმნიდნენ მეურნეობის ისტორიას.

— როცა ლენინურ მეგობრობაზე ლექციას ვკითხულობ, — მითხრა ლექტორმა სოსო აფხაზავამ, — მუდამ ჩაქველთა მაგალითს ვიშველიებ. ალბათ, ძნელად თუ მოიპოვება ასეთი ერთსულოვანი და მრავალეროვანი კოლექტივი. ათობით ოჯახს პირადად ვიცნობ. რაც მთავარია, მათ ეკონომიკურად აღარ უჭირთ. კარგი ავეჯი, ავტომანქანები, კომფორტაბელური ბინები — ყოველივე ეს აქვს საბჭოთა მეურნეობის დღევანდელ მუშას. არც არის გასაკვირი, რომ, მაგალითად, დავითაძეების ოჯახიდან მეურნეობაში ოთხი მექანიზატორი მუშაობს: ბეჟანი, რევაზი, ნათელა, დარეჯანი. მათი გამომუშავება ყოველწლიურად 15 ათას მანეთზე მეტია.

აგროსამრეწველო კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. ცეცხლაძემ პოლიტგანათლების კაბინეტში მიჩვენა ლენინური მეგობრობისადმი მიძღვნილი სტენდები. კაბინეტის ერთ მხარეს მ. გორკის სიტყვებია წარწერილი: „მეგობრობა — ეს ამხანაგობის უმაღლესი საფეხურია, ისეთი ამხანაგობისა, როცა მეგობრისათვის მზად ხარ ცეცხლში გადავარდე, თავი გასწირო". ჩაქველ ინტერნაციონალისტებს თავის გაწირვა არ სჭირდებათ, მაგრამ მეგობრობას და ერთგულებას ნამდვილად უმტკიცებენ ერთმანეთს. დაახლოებას, მეგობრობას შემდგომ ურთიერთობის გაღრმავება მოსდევს. ასე შეიქმნა ათობით ინტერნაციონალური ოჯახი. ტ. გონჩაროვასა და ა. გოგელაშვილის ოჯახში სამი აკვანი დაირწა, ა. კაშკა ცოლად გაჰყვა დ. გორგილაძეს. ცოლ-ქმარი მექანიზატორები ს. კოლიანი და რ. ვაშაკიძე 15 ტონაზე მეტ ჩაის კრეფენ. მათ ოთხი შვილი აღუზარდეს ქვეყანას.

ჩაქვში იმდენი ინტერნაციონალური ოჯახია, რომ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. საიჯარო რგოლის ხელმძღვანელი მოწინავე მექანიზატორი გალინა ვაევოტკინა ცოლად გაჰყვა ნური ქათამაძეს. მარტო გალინა 12 ტონა ჩაის კრეფს. პოლონელმა სვეტლანამ ბედი დაუკავშირა ივანე ნიკოლენკოს და მის გვარს ატარებს.

მეურნეობაში ყველაზე ინტერნაციონალურად თვლიან № 7 ბრიგადას, რომელსაც სათავეში უდგას თ. ყურშუბაძე. ბრიგადაში 6 ეროვნების მეჩაიეა. ბრიგადის წარმატებების მთავარ მიზეზად, სხვათა შორის, მისი ინტერნაციონალიზმი მიაჩნიათ.

რამდენიმე წლის წინათ აჭარაში სტუმრად მყოფი ბულგარეთის დელეგაცია ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობას ეწვია. სტუმრების მოლოდინში სხვაზე მეტად მელანია ტოდოროვა ღელავდა. მას საამისო მიზეზიც ჰქონდა. მშობლებმა მელანია ბულგარეთიდან ომამდე ჩამოიყვანეს. აჭარის თვალწარმტაცმა ბუნებამ, მოკამკამე ზღვამ და, რაც მთავარია, მასპინძელთა სითბომ მელანიას ისე შეაყვარა აჭარობა, რომ სამუდამოდ დარჩა. როცა ავტომანქანა, რომლითაც ბულგარელი სტუმრები მოვიდნენ, სკვერში გაჩერდა, მელანიამ ცრემლი ვერ შეიკავა და მოძმეებს გადაეხვია. ამაღელვებელი შეხვედრა იყო. ამ შემთხვევის მოწმე მეც გახლდით. მაშინ ბულგარელებმა მელანიას შესთავაზეს სამშობლოში დაბრუნება. მელანიას ღიმილი მოერია და უარყოფის ნიშნად თავი გააქნია — ჩამოვალ, ვნახავ, მაგრამ ჩაქვს ვერ შეველევიო, თქვა. ასეც მოხდა, მელანია ახლა დამსახურებულ პენსიაზე იმყოფება.

1986 წელს ჩაქველებმა ბლაგოევგრადის ოლქის ქ. პეტრიჩის სამრეწველო-აგრარულ კომპლექსთან მეგობრობა დაამყარეს. იმავე წელს ეწვივნენ მოძმეებს. ბულგარელები 1987 წელს ჩამოვიდნენ ჩაქვში. წელს ისევ გაცვლიან დელეგაციებს, ასე იწერება მეგობრობის წაუშლელი ფურცლები.

ჩაქვის აგროსამრეწველო კომბინატში, რომელიც შარშან მეურნეობისა და ჩაის ფაბრიკის გაერთიანებით შეიქმნა, 740 მუშაა. ისინი ყოველწლიურად კრეფენ 3800 ტონა ჩაის და 2000 ტონა ციტრუსს. კომბინატში დამკვიდრდა შრომითი აღზრდის სხვადასხვა ფორმა: მუშად კურთხევა, ვეტერანთა საზეიმო გაცილება, დიდების გალერეასთან საუბრების მოწყობა, კომკავშირული ქორწილები და ა. შ. ახლახან მთელმა კოლექტივმა პენსიაზე გააცილა ერთ-ერთი ვეტერანი ა. გალკინა.

ასე რომ, ჩაქველ ინტერნაციონალისტთა ყოველი დღე შრომითა და ხალისით არის აღსავსე. ადმინისტრაციულ სახლთან ახლოს, მარადმწვანე ხეივანში აშენეს ჩაის სახლი. თავისუფალ დროს ჩაქველებს იქ უყვართ შეკრება, ძველისა და ახლის გახსენება. სათქმელი კი ბევრი აქვთ, შრომაც კარგი იციან და დასვენებაც.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება

ჟენევა, 1 მარტი. (საკდესი). დღეს გაიმართა ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების დელეგაციათა პლენარული სხდომა.

სსრ კავშირის დელეგაციამ შეიტანა ახალი წინადადებანი, რომელთა მიზანია უსწრაფესად შეიმუშაონ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების 50 პროცენტით შემცირების ხელშეკრულების პროექტი. ეს წინადადებანი, რომლებიც ბევრად ითვალისწინებენ ამერიკის მხარის პოზიციას, ეხება ხელშეკრულებაში გამოყენებული მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ტერმინების განსაზღვრას, აგრეთვე ბალისტიკური რაკეტების კოსმოსური ობიექტების გაშვების საშუალებებად გარდაქმნის შესაძლებლობებს.

სსრ კავშირის დელეგაციამ დაადასტურა, რომ საბჭოთა მხარე ისწრაფვის გააძლიერონ მეცადინეობა ჟენევის მოლაპარაკებაზე, რათა დამთავრდეს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირებისა და შეზღუდვის ხელშეკრულებისა და შეთანხმებულ ვადაში მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის შემუშავება.

აგრეთვე აღინიშნა, რომ მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის ყოფნის დროს ამასწინანდელ საუბრებსა და მოლაპარაკებას ახასიათებდა უკვე უახლოეს დროში ვაშინგტონის მორიგებათა რეალიზაციის განწყობა. ამ პირობებში გაკვირვებას იწვევს პრეზიდენტ რ. რეიგანის განცხადება 26 თებერვლის გაზეთ „ვაშინგტონ პოსტისათვის" მიცემულ ინტერვიუში, რომელშიც საეჭვო ხდება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების 50 პროცენტით შემცირების ხელშეკრულების პროექტის შემუშავების შესაძლებლობა იმ ვადებში, რომლებიც შესაძლებელს გახდის მას ხელი მოაწერონ სსრ კავშირში პრეზიდენტის ვიზიტის დროს. კარგად არის ცნობილი, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის 1987 წლის 10 დეკემბრის ერთობლივ განცხადებაში საქმე ეხება ხელშეკრულებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების შემუშავების დამთავრებას რაც შეიძლება მოკლე დროში, რათა მას ხელი მოაწერონ ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა მომდევნო შეხვედრაზე. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განცხადება ეწინააღმდეგება ამ მორიგებებს. ამავე დროს, როგორც მოსკოვში სახელმწიფო მდივანთან ჯ. შულცთან მოლაპარაკების დროს დაითქვა, რომ დააჩქარონ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების პროექტის შემუშავება, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის 26 თებერვლის განცხადება სრულიად არ უწყობს ხელს ამ ამოცანის გადაწყვეტას.

რაც შეეხება საბჭოთა მხარეს, ხაზგასმით აღინიშნა: იგი იმის მომხრეა, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა მოსკოვის შეხვედრისათვის ხელმოსაწერად მოამზადონ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების 50 პროცენტით შემცირების შესახებ ხელშეკრულება. ამავე დროს მიაღწიონ შეთანხმებას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების დაცვის თაობაზე. ჩვენი რწმენით, ჟენევაში მუშაობის დამთავრება უმაღლესი დონის შეხვედრის დროისათვის შესაძლებელია. სსრ კავშირის დელეგაციამ მოუწოდა ამერიკის მხარეს ერთობლივი მეცადინეობით მიაღწიონ ამ ამოცანის შესრულებას.

კოოპერატივი

არაჩვეულებრივი გამოფენა გაიხსნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. აქ წარმოდგენილია ხალხურ ოსტატთა ორიგინალური ნამუშევრები, სხვადასხვა ქსოვილის ნაწარმი, საშენი მასალები და ბევრი სხვა საქონელი, რომლებსაც რესპუბლიკის კოოპერატორები ამზადებენ.

გამოფენის დამთვალიერებლები — ძირითადად მაღაზიებისა და სხვადასხვა სავაჭრო ორგანიზაციის წარმომადგენლები — დებენ ხელშეკრულებებს სახელმწიფო ვაჭრობის მეშვეობით იმ ნაწარმის რეალიზაციისათვის, რომელზეც მოთხოვნაა.

სურათზე: სამკერვალო კოოპერატივის „ლელას" თავმჯდომარე ლ. ხევსურიშვილი და კოოპერატივის წევრი ლ. ადამაშვილი თავიანთ ნაწარმს სთავაზობენ თბილისის ცენტრალური უნივერმაღის დირექტორს ს. კერესელიძეს.

ა. რუხაძის ფოტო (საქინფორმი).

სახალხო მეურნეობა: რადიკალური რეფორმა

გაიზარდა მოთხოვნა

თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში უფრო მიზანმიმართული, კონკრეტული გახდა სოციალისტური შეჯიბრება. სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შემდეგ წინა პლანზეა შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლები, სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვა.

კარგად დაიწყო მიმდინარე წელი საწარმოს კოლექტივმა და საამისოდ მან შარშან მოამზადა საფუძველი. ხუთწლედის მეორე წელს აქ გეგმის გადამეტებით 671 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი დამზადდა, შრომის ნაყოფიერების ზრდამ 108,7 პროცენტი შეადგინა. მოიგეს გათვალისწინებულზე 98 ათასი მანეთით მეტი.

სურათზე: № 2 საამქროს მოწინავე მკერავები მზია ტალახაძე და მარიამ ლობჟანიძე.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

მაღაროელთა სწრაფში ტემპი

ახალციხის აქატ-დიატომიტის მაღაროთსამმართველოს მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები ენერგიულად შრომობენ XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის. წლის დამდეგიდან აქ მოიპოვეს და მომხმარებლებს გრაფიკის გასწრებით გაუგზავნეს 5.320 ტონა ნატეხი და დაფქვილი დიატომიტი — ბევრად მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. წარმატება განაპირობა სამეურნეო იჯარის მეთოდით შრომის დანერგვამ, მოწინავე ტექნიკის სრული დატვირთვით გამოყენებამ, ელექტროენერგიის მომჭირნე ხარჯვამ.

წარმოების ავანგარდში არიან ცეცხლფარეშები ანდრო და გიორგი ინასარიძეები, მტვირთავები პავლე და ლუკა ტაბატაძეები, მნგრეველი ნ. მოდებაძე და სხვები, რომლებიც 15-20 დღით უსწრებენ კალენდარს და მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას იძლევიან.

▼ ▼

ჩქარობენ მინდვრის მშრომელები

გაზაფხული კარზეა მომდგარი. როგორ ხვდებიან ჩხოროწყუს რაიონის მშრომელები ხვნა-თესვის კამპანიას, როგორ ემზადებიან ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის?

როგორც რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ გიგლა ცირამუამ გვითხრა, ზამთარში კარგად იმუშავეს მექანიზატორებმა. ტექნიკის რემონტი გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს, დარიან ამინდში მინდვრად გადიან მხვნელ-მთესველები, გააქვთ ორგანული სასუქები. სამარცვლე სიმინდს ინდუსტრიული ტექნოლოგიით დათესავენ. ვარაუდობენ, რომ ჰექტარობრივი მოსავლიანობა 35-40 ცენტნერი იქნება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სოიის მოყვანას სამარცვლედ და მწვანე საკვებად, ეს კულტურა 430 ჰექტარს დაიკავებს. საამისოდ მეურნეობები უზრუნველყოფილია ხარისხოვანი თესლით.

წლეულს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ჩაის ხარისხს. ამიტომ მეჩაიეები, გულისყურით ემზადებიან იმისათვის, რომ აგროვადებში მოასწრონ ბუჩქების დაბარვა, სასუქების შეტანა, გასხვლა. ჩაი რაიონში 2.700 ჰექტარზეა გაშენებული. პლანტაციის ნაწილი ამორტიზებულია და მიმდინარეობს მისი გეგმაზომიერი ამოძირკვა, ახალი, უხვმოსავლიანი ჯიშების გაშენება.

▼ ▼

ქობულეთური მარკით

ქობულეთის რაიონის № 5 ჩაის ფაბრიკის ბაზაზე შეიქმნა კომბინატი, იგი ყოველწლიურად 5 ათას ტონა ჩაის ხარისხოვან ფოთოლს გადაამუშავებს. მზა პროდუქციას თვითონვე დააფასოებს და გაუგზავნის მომხმარებელს. ეს განსაკუთრებით ზრდის მწარმოებლის პასუხისმგებლობას. როცა პროდუქციას აფასოებენ ცენტრალური საწონი ფაბრიკები, იქ ძნელი გასარკვევია, ვისი გადამუშავებულია ჩაის მზა პროდუქცია, აქ კი კონკრეტულ მისამართს აღნიშნავენ.

ფაბრიკა ამჟამად აფასოებს შარშანდელ მოსავალს. შესაბამისი საამქრო აღიჭურვა დასავლეთგერმანული „ნაგემას" ტიპის ორი დანადგარით, რომლის მწარმოებლობაა 1000 ტონა მზა პროდუქცია.

კომბინატს კარგი მატერიალური ბაზა აქვს. საწარმო პროცესები მთლიანად მექანიზებულია. ტექნოლოგიის სრულყოფით მიაღწიეს მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღებას. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროდუქციის უნარჩენო გამოშვებას. დაგეგმილია ნარჩენებისაგან გამოუშვან გრანულირებული ჩაი. მისი დაფასოებაც ფაბრიკაში მოხდება. შენდება უალკოჰოლო სასმელებისათვის საჭირო სიროფისა და სხვა კომპონენტების დასამზადებელი საამქრო. ეს საწარმოს საშუალებას მისცემს 500 ათასი მანეთის დამატებითი პროდუქცია გამოუშვას.

კომბინატი ზრუნავს სოციალური საკითხების გადაწყვეტისათვის. შენდება 60-ბინიანი საცხოვრებელი სახლი.

▼ ▼

მეგობრობის ახალი ჰორიზონტები

ახლახან საფუძველი ჩაეყარა უკრაინის სსრ ჩერნოვიცის ოლქის გლიბოკაიას რაიონისა და ხელვაჩაურელთა მეგობრობას. მათ შორის გაფორმდა სოციალისტური შეჯიბრება. სტუმართა დელეგაციას ხელმძღვანელობდა პარტიის რაიკომის მდივანი დომინიკა პროდანიუკი. სტუმრები გაეცნენ გონიოს, კირნათის, ჩაისუბნის, სარფის, ახალშენის, წინსვლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმატებებს ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში.

გლიბოკაია ეკონომიკურად მძლავრი რაიონია. აწარმოებენ 200 ათას ტონა კარტოფილს, 58 ათას ტონა მარცვლეულს, 300 ათას ტონაზე მეტ შაქრის ჭარხალს, 500 ათას ტონაზე მეტ პირუტყვის საკვებ ძირხვენებს და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციას.

ხელშეკრულების გაფორმების დროს გამოითქვა რწმენა, რომ ორი რაიონის მშრომელთა დაახლოება, გამოცდილების ურთიერთგაზიარება ხელს შეუწყობს საერთო აღმავლობას ყველა სფეროში.

▼ ▼

დროის მხარდამხარ

ბარდაძენის შესაბამისად შრომობს თბილისის ქიმიურ ნაკეთობათა მეორეული ბოჭკოვანი მასალების ქარხნის კოლექტივი. აქ ორი თვის გეგმის გადამეტებით მომხმარებელს 70 ათასი მანეთის პროდუქცია გაუგზავნეს. შესრულდა გეგმის ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი, დღეს ქარხანაში დამზადებულ ნაწარმზე მომხმარებელთა დიდი მოთხოვნილებაა. საწარმოში ყოველწლიურად ნერგავენ მოწინავე ტექნოლოგიებს, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი.

კოლექტივი შარშანდელი მონაცემების მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა.

საწარმოში ერთი დიდი ოჯახივით შრომობენ და ცხოვრობენ. თითოეული მათგანი გრძნობს, რომ მასზე ზრუნავენ, შრომას უფასებენ. არ დგას ბინით დაკმაყოფილების პრობლემა, აქვეთ კეთილმოწყობილი სასადილო, კლუბი, საშხაპეები.

ქარხნის მშრომელებმა გადაწყვიტეს XIX საკავშირო პარტკონფერენციის დღისათვის 6 თვის გეგმა შეასრულონ, ხოლო წლის ბოლომდე მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 300 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდონ.

სოციალური სფერო

საბინაო პრობლემა და სადეპუტატო მოვალეობა

რეპორტაჟი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომიდან

მშრომელთა საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება დღევანდელი დღის უპირველესი მოთხოვნაა.

ამ სფეროში გარდაქმნის არსი ფართო მასშტაბებს ითვალისწინებს. მას საფუძვლად უდევს საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის გადაწყვეტილებანი, რომელთა განუხრელი განხორციელება კანონის ძალას იძენს.

და აი, ამ პრობლემას მიეძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბინაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომა, რომელსაც ხელმძღვანელობს მისი თავმჯდომარე დეპუტატი ა. აზიროვი.

სხდომა პირველ საკითხად იხილავს სწორედ მეექვსე სესიის შესაბამისად საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულებას, საქალაქო და საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარების საქმეში ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობას.

მომხსენებელი — ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გ. ხომერიკი და თანამომხსენებელი, დეპუტატი ვ. კეპელავა ლაპარაკობენ იმ დიდ ძვრებზე, რაც ხდება ქალაქში ამ მიმართულებით, აღნიშნავენ ნაკლოვანებებს, საგანგებოდ ვრცლად ჩერდებიან იმ პრობლემებზე, რაც განსაკუთრებულ მიდგომას და საგანგებო ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს.

ფოთი — საყოველთაოდ ცნობილი ექსპერიმენტის ქალაქი. ამ რეგიონის ეკონომიკაში თვისებრივად ახალმა სიტყვამ და გარდატეხამ შეცვალა მისი ცხოვრების შინაარსი და ნაწილობრივ გარეგნული სახეც.

ვინც ბოლო ხუთი წლის მანძილზე ამ ქალაქში არ ჩასულა, ძველი სიახლის და სასარგებლო საქმის მოწმე გახდება. ეს განსაკუთრებით ითქმის საბინაო მშენებლობაზე. 1981 წელთან შედარებით 1985 წელს ბინით დაკმაყოფილებულთა რაოდენობა 46 პროცენტით გაიზარდა, უკანასკნელ ორ წელიწადში კი ბინით დაკმაყოფილდა 600-ზე მეტი ოჯახი.

საქალაქო საბჭოს აღმასკომი პერიოდულად აანალიზებს საბინაო ფონდის გაზრდის, კომუნალური მომსახურების მდგომარეობის საკითხებს, განიხილავს მათ სხდომებსა და სესიებზე, ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს საგეგმო დავალებათა შესრულებას.

ახლა ქალაქი ძირითადად უზრუნველყოფილია სასმელი წყლით, ფართოვდება საკანალიზაციო ქსელი, შენდება სატუმბი სადგურები, კოლექტორები, ექსპლოატაციაშია 48 საქვაბე, საიდანაც 7 საქალაქო საბჭოს აღმასკომის თბომეურნეობას ეკუთვნის. ეს საქვაბეები გათბობით უზრუნველყოფს საბინაო ფონდის 90 პროცენტს. კარგად მიმდინარეობს ქალაქის გამწვანებისათვის გამოყოფილი თანხების ათვისება, ხორციელდება სანიაღვრე კანალიზაციის მშენებლობაც. ეს აქ ერთ-ერთი პირველი რიგის მოთხოვნაა, რადგან ქალაქი თითქმის ზღვის დონეზე მდებარეობს. ფოთში დაიწყო ბუნებრივი გაზის შემოყვანის სამუშაოებიც.

მიუხედავად ამისა, დაგროვდა პრობლემები, რომელთა გადაჭრა მიზანშეწონილ საქმიანობას და აუცილებელი საგანგებო ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. ასე მაგალითად, დაბალია ბინათმშენებლობის ტემპი; 1987 წელს აქ 12 საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე გამოყოფილი 3987 ათასი მანეთიდან ათვისებულია მხოლოდ 2169 ათასი მანეთი, ანუ 54 პროცენტი. მართალია, 1987 წელს გეგმით გათვალისწინებული ექვსივე სახლი საექსპლოატაციოდ გადაეცა, მაგრამ დანარჩენ ექვს გარდამავალ ობიექტზე გეგმა შესრულებულია მხოლოდ 8,5 პროცენტით, რაც უეჭველად თავის უარყოფით გავლენას მოახდენს წლევანდელი გეგმის შესრულებაზე. სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების 6 ობიექტიდან ჩაბარდა ექვსივე, მაგრამ 3 გარდამავალ ობიექტზე დაგეგმილი 959 ათასი მანეთიდან ფაქტობრივად ათვისებულია 311 ათასი მანეთი, ანუ 32,4 პროცენტი.

ფოთის საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის ბალანსზეა 74 საცხოვრებელი სახლი, რომელთა საერთო ფართობია 145 ათასი კვადრატული მეტრი. საბინაო ფონდის საბალანსო ღირებულებაა 20 104 ათასი მანეთი, დებიტორული დავალიანება შეადგენს 77,7 ათას მანეთს, რაც გამოწვეულია იმით, რომ არ მიმდინარეობს სათანადო მუშაობა ბინის ქირის დავალიანების ამოღებისათვის. ქალაქში ბევრია ურჩი გადამხდელი, რომლებიც წლების მანძილზე არ იხდიან ბინის ქირას.

მძიმე მდგომარეობაში არიან ინდივიდუალური სახლების მფლობელები. სახლების მშენებლობისა თუ შეკეთებისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი სესხი არასაკმარისია და ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

წლიდან წლამდე ქალაქში საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტი მიმდინარეობს არაორგანიზებულად, არ არის შედგენილი და დამტკიცებული ხუთწლიანი გეგმა, კაპიტალურად შესაკეთებელი სახლების შერჩევა არ ხდება საბინაო ფონდის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევისა და გეგმური (საგაზაფხულო და საშემოდგომო) და რიგგარეშე დათვალიერების მასალების მიხედვით. კაპიტალურად შესაკეთებელი სახლების შერჩევა წარმოებს არა დადგენილი წესით, არამედ თვითნებურად.

მართალია, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ქალაქის საკანალიზაციო ქსელის მშენებლობისა და გაფართოებისათვის, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობა უხარისხოა, არის კოლექტორებისა და სათვალთვალო ჭების ჩანგრევის, კოლექტორებში გრუნტის წყლების შეღწევის ფაქტები, რაც ხელს უშლის სატუმბოების ნორმალურ მუშაობას. ნაკლოვანებებია საცხოვრებელი სახლების გათბობით უზრუნველყოფის საქმეში; მრავალრიცხოვანი მცირე საქვაბეები დროულად ვერ მარაგდება საწვავით და მუშაობს მხოლოდ დღის საათებში, ამიტომ ბინებში არ არის ნორმალური ტემპერატურა.

საქალაქო საბჭოს დეპუტატები, საბინაო-საექსპლოატაციო უბნები და მოსახლეობა არ ზრუნავენ სახლების გარშემო არსებული ტერიტორიების კეთილმოსაწყობად, სისტემატურად არ ეწყობა დათვალიერება-კონკურსი „საუკეთესო სახლის, ეზოს, ქუჩის" წოდების მოსაპოვებლად.

ბინათმშენებლობისა და საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის შესახებ კანონმდებლობის დაცვისათვის გაწეულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმით, რომ ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი სრულად ვერ იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას, არასაკმარისად ახორციელებს სათანადო კონტროლს სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობისადმი.

სიტყვით გამოდიან საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილე ა. ყურაშვილი და საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტის კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე რ. ბაბუხადია. ისინი აღნიშნავენ იმ მიზეზებს, რაც იწვევს ფოთის საბინაო გეგმების შეუსრულებლობას, საქალაქო და საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარების საქმეში არსებულ ხარვეზებს და ლაპარაკობენ მათი გამოსწორების ღონისძიებებზე.

სხდომაზე ისმენენ საკითხს კომუნალური მეურნეობის განვითარების ამოცანებზე საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

კომისია აღნიშნავს, რომ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სახელზე 1985 წლიდან დღემდე შემოსული 23 განაწესიდან შესრულებულია მხოლოდ 5, ექვსი მათგანის განხორციელება ნავარაუდევია მიმდინარე წელს. როგორც მონაცემები ცხადყოფენ, განაწესების შესრულების ტემპი არადამაკმაყოფილებელია, რაც იწვევს დეპუტატებისა და მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას. სწორედ ამაზე ისაუბრეს დეპუტატებმა დ. მაისურაძემ და ნ. მელივამ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც კომისიის სხდომაზე ისმენენ, ეს არის „საქალაქო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის მარნეულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თაობაზე" კომისიის 1986 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობა.

მომხსენებელი — დეპუტატი თ. ჯაფარლი აღნიშნავს, რომ სახალხო დეპუტატების მარნეულის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია კომისიის ზემოთდასახელებული გადაწყვეტილების შესასრულებლად. კერძოდ, ერთი თვის შემდეგ ამ გადაწყვეტილების მიღებიდან აღმასკომის სხდომაზე დასახეს კონკრეტული ღონისძიებები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. კომუნალურ მომსახურებაში არსებული ხარვეზებისათვის მკაცრად დაისაჯნენ კომუნალურ საწარმოთა კომბინატის, სარემონტო-სამშენებლო უბნისა და საუწყებო სამსახურთა ხელმძღვანელები.

გასული წლის დეკემბერში საქალაქო საბჭოს სესიამ დაამტკიცა ქალაქის კეთილმოწყობის გეგმა. 1987 წლის საბინაო ფონდის მიმდინარე რემონტის გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი რამდენადმე გაუმჯობესდა, მაგრამ იგი მაინც ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს, რაც ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ ქალაქი უზრუნველყოფილი ვერ არის სამშენებლო მასალებით.

საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტი გადაყვანილია უწყვეტ ორწლიან დაგეგმვაზე, შედგენილია ორწლიანი სატიტულო სია და ხუთწლიანი გეგმა. ის სახლები, რომლებიც 1988 წელს კაპიტალურად უნდა გარემონტდეს, უზრუნველყოფილია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით.

უმაღლესი საბჭოს საბინაო-კომუნალური და საქალაქო მეურნეობის კომისია ცნობად იღებს კომისიის გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობას და რჩევას აძლევს საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსა და რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს — უზრუნველყონ იმ დავალებათა დროული შესრულება, რომლებიც მარნეულის საქალაქო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

ფაქტი, რომელმაც კომისიის სხდომას, აგრეთვე, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა, ის არის, რომ მიიღეს გადაწყვეტილება სხდომებზე რეგულარულად მოისმინონ კომისიის წევრ-დეპუტატების ინფორმაციები სადეპუტატო საქმიანობის შესახებ.

და აი, პირველი ასეთი ინფორმაცია. კომისიას მოახსენებს დეპუტატი, საწარმოო გაერთიანება „ელვას" მემონტაჟე დ. ხუტაშვილი. მას, ახალგაზრდა დეპუტატს, ხშირად მიმართავენ მობინადრეები თხოვნით — ჩაერიოს საქმეში თუ რატომ ჭიანურდება კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, რატომ აშენებენ ასე უხარისხოდ მშენებლები, ვის ევალება საცხოვრებელი მიკრორაიონების კეთილმოწყობა და ა. შ.

და დ. ხუტაშვილიც — სადეპუტატო მოვალეობის ერთგული — დაუზარებლად ეხმაურება მშრომელთა ყოველ თხოვნას თუ შენიშვნას; მაგრამ, არც თუ იშვიათად, სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებისა თუ რაიაღმასკომების ხელმძღვანელი მუშაკები როდი გრძნობენ პასუხისმგებლობას დეპუტატის წინაშე, თავს არიდებენ პირდაპირ პასუხს, ცდილობენ გვერდი აუარონ მას, არ ცნობენ დეპუტატის უფლებამოსილებას — კონტროლი გაუწიოს საბინაო-კომუნალური თუ საქალაქო მეურნეობის განვითარების მდგომარეობას.

ცხადია, ასეთი შემთხვევა არ უნდა განმეორდეს. დეპუტატი ხალხის მსახურია და სწორედ მისი მოვალეობაა დაეხმაროს მშრომელებს საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში; ამით კი, საბოლოოდ, ხელი შეუწყოს მათი გუნება-განწყობილების გაუმჯობესებას, მათი ძალებისა და ენთუზიაზმის მობილიზებას გარდაქმნის გრანდიოზული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლაში.

ჯ. ნადარეიშვილი.

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი: განვითარების პრობლემები

არ უნდა მტკიცება იმას, რომ სახალხო მეურნეობის ნებისმიერი დარგი უშუალოდ არის დამოკიდებული სათბობით, ელექტრონული და სითბური ენერგიით უზრუნველყოფაზე. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში ნათქვამია: სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დარგების განვითარება დაუქვემდებაროთ იმ ამოცანას, რომ განუხრელად უზრუნველყოთ ქვეყნის მოთხოვნილება ყველა სახეობის სათბობსა და ენერგიაზე მათი მოპოვებისა და წარმოების გადიდების გზით, ამასთან გეგმაზომიერად განვახორციელოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგსა და სფეროში მიზანმიმართული ენერგოდამზოგველი პოლიტიკა. თანმიმდევრულად გავაძლიეროთ მომჭირნეობის რეჟიმი, რომელიც წარმოების ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. გადავაქციოთ რესურსდამზოგველობა სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გადამწყვეტ წყაროდ, მივაღწიოთ, რომ სათბობზე, ენერგიაზე, ნედლეულსა და მასალაზე არსებული მოთხოვნილების მატება 75-80 პროცენტით კმაყოფილდებოდეს მათი ეკონომიის გზით, შევამციროთ ეროვნული შემოსავლის ენერგოტევადობა სულ ცოტა 1,4-ჯერ. კომპლექსურად გამოვიყენოთ ბუნებრივი და მატერიალური რესურსები, მაქსიმალურად აღმოვფხვრათ დანაკარგები და არარაციონალური ხარჯები.

როგორია დღეს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული პოტენციალი, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების დაჩქარებული განვითარებისათვის, ამ საარსებო მნიშვნელობის სფეროს წინსვლის პრობლემები და პერსპექტივები?

ამის შესახებ მრგვალ მაგიდასთან „საქმთავარენერგოს" უფროსი ი. ჟღენტი, სახგაზკომისა და საქნავთობპროდუქტებკომის თავმჯდომარეები ბ. ლომჯანიძე და ა. ალავერდიევი საუბრობენ გაზეთ „კომუნისტის" მიმომხილველთან შ. ამაშუკელთან და საქინფორმის კორესპონდენტთან ა. კოკაიასთან.

კომპლექსის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს განმარტავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადაჭკორია.

ი. ჟღენტი: — დავიწყებ იქიდან, რომ საქართველოში ახლა ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში სამი ათასი კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია იხარჯება. სოლიდური ციფრია, არა?



ბ. ლომჯანიძე: — რა რაოდენობის ბუნებრივი გაზია საჭირო, ვთქვათ, ხუთსართულიანი სახლის გასათბობად? გიპასუხებთ: დღე-ღამეში 340 კუბური მეტრი. ბევრი გაზს ტყუილუბრალოდ ხარჯავს.

ა. ალავერდიევი: — მთავარ ამოცანად რჩება მომჭირნეობის რეჟიმის მკაცრი დაცვა. ნედლეულის, სათბობის მოპოვება სულ უფრო ძვირდება, რესურსების 80 პროცენტი ხომ ციმბირში მდებარეობს.

ვ. ვადაჭკორია: — სოფლების ნინოწმინდისა და პატარძეულის ახლოს აღმოჩენილია პერსპექტიული გეოლოგიური სტრუქტურები. აქ მოპოვებულმა ნავთობმა ცხადყო, რომ თვისებებით არ ჩამოუვარდება სამგორისას.

მომჭირნეობა ოქროს რეზერვია

შ. ამაშუკელი: ჩვენი შეკრების მიზანია გულახდილად მოვუთხროთ გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებს სახალხო მეურნეობისათვის ამ ერთ-ერთ ყველაზე უმნიშვნელოვანეს, სასიცოცხლო დარგში არსებულ მდგომარეობაზე, მისი განვითარების ძირითად ამოცანებზე, ენერგოდეფიციტის თანდათანობით აღმოფხვრის გზებზე. პირველი სიტყვა, ალბათ, „საქმთავარენერგოს" ეკუთვნის.

ი. ჟღენტი: დავიწყებ იქიდან, რომ საქართველოში ახლა ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში სამი ათას კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია იხარჯება. არადა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის ეს მაჩვენებელი ორ კილოვატსაათზე ცოტა მეტს შეადგენდა. სოლიდური ციფრია, არა? სწორია, მაგრამ დღეს ამით ვეღარავის გააკვირვებ, დრო თავისას შვრება, გაიზარდა მოთხოვნა და მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, ცხოვრების წინსვლას ვერაფერი შეაფერხებს.

მიაქციეთ ყურადღება: იმ დროისათვის არცერთ სოფელში არ იყო ელექტრონი, განათების წყარო ნავთის ლამფა იყო. 70-იან წლებში კი მთლიანად დამთავრდა ყველა მცირე დასახლებული პუნქტების, ყველა სოფლის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ელექტრიფიკაცია. სოფლის მცხოვრები პრაქტიკულად იმდენ ენერგიას ხარჯავს, რამდენსაც ქალაქის მკვიდრი.

ზაჰესის კვალდაკვალ ერთიმეორის მიყოლებით ჩადგნენ მწყობრში ხრამჰესი, გუმათჰესი, ლაჯანურჰესი, შაორჰესი, ჩითახევჰესი, ტყვარჩელისა და თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურები და, ბოლოს, კავშირში ერთ-ერთი უდიდესი — ენგურჰესი. ძირფესვიანად განახლდა ზემო ავჭალის ჰესიც. შარშან ამიერკავკასიის ერთიან ენერგოსისტემას შემატა დენი, რომელიც მოდერნიზაციის შემდეგ ამოქმედებულმა მისმა ყველაზე მძლავრმა ჰიდროაგრეგატმა გამოიმუშავა.

ჩვენი რესპუბლიკა კავშირში ყველაზე წყლიანია, მაშასადამე, ჰიდრორესურსების პოტენციალიც დიდია. ამოცანა ის არის, რომ ავითვისოთ იგი. განვითარებადი სახალხო მეურნეობა სულ უფრო მეტ ენერგიას საჭიროებს. საქართველოს ელექტროენერგეტიკის შემდგომი განვითარების საკითხებზე იმსჯელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე, რომელმაც რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზის განვითარების 2000 წლამდე კომპლექსური პროგრამა განიხილა. მისი განხორციელება უკვე დაიწყო. მაგალითად, იგება ნამახვანის ჰესის 400 ათას კილოვატი სიმძლავრის კასკადი. 1990 წლისათვის დასრულდება თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის რეკონსტრუქცია, სადაც მწყობრში ჩადგება კიდევ სამი, თითოეული 300 ათასი კილოვატი სიმძლავრის ენერგობლოკი. კავკასიონის ქედს „გადააბიჯა" ენგურჰესისა და სტავროპოლის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის დამაკავშირებელმა 500 კილოვოლტის ელექტროგადამცემმა ხაზმა. მიმდინარეობს აზერბაიჯანის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურისა და მუხრანის — ველის ქვესადგურის დამაკავშირებელი 500 კილოვოლტის ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა.

საქართველო ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებიდან პირველი შეუერთდა სსრ კავშირის ერთიან ენერგოსისტემას. თბილისში მოქმედებს ამიერკავკასიის გაერთიანებული სადისპეტჩერო სამმართველო, რომელიც საჭიროებისას ელექტროენერგიას „გადააგდებს" ხოლმე ამიერკავკასიის რომელიმე რესპუბლიკის ერთი რაიონიდან მეორეში და ამით „პიკურ" დატვირთვებს ფარავს.

შ. ამაშუკელი: ეს დადებითი ფაქტებია. და მაინც, მოდით რეალისტები ვიყოთ: ენერგოსამსახური მომხმარებელთა ბევრ სამართლიან საყვედურს იწვევს. რა განაპირობებს სხვადასხვაგვარ შეფერხებას ელექტრომიწოდებაში?

ი. ჟღენტი: მიზეზი რამდენიმეა. მათგან მთავარია ელექტროენერგიის ნაკლებობა. რესპუბლიკის ელექტრობალანსი მხოლოდ მას შემდეგ გახდება მთლიანად სტაბილური, როცა განხორციელდება ენერგეტიკული პროგრამა, ესე იგი, 90-იან წლებში. ჯერჯერობით კი ელექტროენერგიაზე რესპუბლიკის მოთხოვნილების დაახლოებით მესამედი მეზობელი ენერგოსისტემების მეშვეობით იფარება. ხოლო სათბობ-ენერგეტიკული რესურსების საერთო-წლიური მოხმარებიდან ერთ მესამედზე ნაკლებს ფარავს საკუთარი ნედლეული, დანარჩენი გარედან შემოგვაქვს. ასეთი დამოკიდებულება წარმოშობს ენერგომომარაგების გამორთვის არცთუ ისე იშვიათ და იძულებით შემთხვევებს. მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ მის ყოველმხრივ დაზოგვას შეუძლია. ეს საკითხი ახლა ისე მწვავედ დგას, როგორც არასდროს.

ა. კოკაია: რა მუშაობას ეწევით ამ მიმართულებით?

ი. ჟღენტი: პასუხს მოხმარების რაციონალური რეჟიმის დაცვისათვის, ძირითადად, აგებს ენერგოზედამხედველობა — „საქმთავარენერგოს" ინსპექცია. მის ფუნქციებში შედის საწარმოებში ენერგოდამზოგველი ტექნოლოგიების დანერგვის ღონისძიებათა განხორციელებისადმი კონტროლი და მფლანგველობის ფაქტების აღკვეთა. ასეთი ფაქტი კი ჯერ კიდევ უამრავია. მარტო შარშან ათასზე მეტი ასეთი შემთხვევა გამოვლინდა.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის, რომ ასეთი შემთხვევებია ბევრ დიდ საწარმოში — რუსთავის ცემენტის ქარხანაში, სამტრედიის ხისდამამუშავებელ კომბინატში, ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელ ქარხანაში, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანაში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მთელ რიგ ობიექტებზე.

ამავე დროს რესპუბლიკაში ბევრია ისეთი საწარმო, რომელიც სტაბილურად აღწევს კარგ საწარმოო მაჩვენებლებს და, თან, მომჭირნედ ხარჯავს ელექტროენერგიას. მათ შორის არიან თბილისის „ავიამშენებლის" საწარმოო გაერთიანება, კასპის-მაუდის კომბინატი „საბჭოთა საქართველო", „საქსამთოქიმმრეწვის" გაერთიანება. წარმატებას აქ უზრუნველყოფს ელექტრომოწყობილობის, გასანათებელი ხელსაწყოების მუშაობის ოპტიმალური რეჟიმებისა და გრაფიკების დაცვა.

ა. კოკაია: მაშასადამე, გამოდის, ზარალს მარტო პირდაპირი დანაკარგები არ გვაყენებს. დაზოგვის ხელიდან გაშვებული შესაძლებლობაც ზარალი ყოფილა.

ი. ჟღენტი: ენერგიის მომჭირნე გამოყენების მნიშვნელოვანი რეზერვია მაქსიმალური დატვირთვის საათებში მოხმარებადი სიმძლავრის შემცირება — შესვენებებისა და ცვლების გადანაცვლების, მთელი რიგი საამქროებისა და წარმოებების მუშაობის ღამე გადატანის მეშვეობით და ასე შემდეგ. ჯერჯერობით დღე-ღამის მანძილზე ელექტროენერგიის მოხმარებაში შეიმჩნევა საგრძნობი სხვაობა, განსაკუთრებით დილისა და საღამოს საათებში. ენერგიის მომჭირნეობისათვის დიდ როლს ასრულებს მოწყობილობის გამართულობა. არადა, რესპუბლიკაში ბევრია საწარმო, სადაც იგი, არაკვალიფიციური მომსახურების, სარემონტო სამუშაოთა ცუდი ხარისხის გამო ხშირად „ჭამს" ელექტროენერგიის ან სათბობის ზედმეტ კილოვატსაათებს.

ვფიქრობ, დროა მკაცრად მოვკითხოთ ამისათვის. ჯერჯერობით კი საწარმოთა ხელმძღვანელები არხეინად იხდიან ჯარიმებს, რადგან თავისი ჯიბიდან არ უწევთ ამ სახსრების გადახდა. რად უნდა იხდიდეს ამას სახელმწიფო? ყველას უნდა შევაგნებინოთ, რომ მომჭირნეობა ოქროს რეზერვია.

ა. კოკაია: როგორ არის საქმე საყოფაცხოვრებო, თუ შეიძლება ასე ითქვას, საოჯახო ტექნიკის მხრივ? ელექტროდენის რა წილს ისაკუთრებს იგი?

ი. ჟღენტი: სწორი კითხვაა. დადგა დრო აქტიურად დაინერგოს ყოფაში ტექნიკა, რომელიც სიმძლავრის ერთეულზე მინიმალურ ენერგიას მოიხმარს. ჩვენში კი საწინააღმდეგო რამ ხდება. სამამულო წარმოების მაცივრები, ელექტროქურები, ტელევიზორები 20-30 პროცენტით მეტ დენს საჭიროებენ, ვიდრე საზღვარგარეთული ანალოგები.

ახლა რამდენი იკარგება ელემენტარული უყაირათობის, იმის გამო, რომ არ რთავენ ხოლმე ზედმეტ ნათურას შინ ან სამუშაო ადგილას! თბილისის ზოგიერთ რაიონში სადარბაზოების, დერეფნების, კიბის ბაქნების განათება ავტომატურ დისტანციურ მართვაზე გადაჰყავთ. ეზოებში, ქუჩებში, ბაღებსა და სკვერებში ფარნებს, ძირითადად, ტელემექანიკური ცენტრალიზებული პულტიდან ჩართავენ და გამორთავენ ხოლმე. მაგრამ ყველგან ასე როდი კეთდება. და საიმისოდ, რომ არც ერთი გამომუშავებული კილოვატსაათი არ დაიხარჯოს ფუჭად, რაც მისი დაკარგვის ტოლფასია, კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი რამ უნდა ვიღონოთ.

ბ. ლომჯანიძე: პრაქტიკულად იგივე თქმა შეიძლება გაზის მეურნეობაზეც. ამ სათბობის ყოველი კუბური მეტრი როდი გამოიყენება სრულფასოვნად. ჩაფიქრებია რომელიმე თქვენგანი ასეთ კითხვას: რა რაოდენობის ბუნებრივი გაზია საჭირო, ვთქვათ, ხუთსართულიანი სახლის გასათბობად? გიპასუხებთ: დღე-ღამეში 340 კუბური მეტრი. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ ბევრი საწარმო მას ტყუილუბრალოდ ხარჯავს, ცხადი გახდება, რომ კიდევ ათასობით სახლის გათბობა შეიძლება. უყაირათო საწარმოებს ჩვეულებრივ ას მანეთამდე თანხით აჯარიმებენ. მაგრამ ჯარიმის ოდენობა ოდნავადაც ვერ ანაზღაურებს ზარალს. მაგალითად, კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატი 2.100 მანეთის გაზს იყენებდა, მეტი რომ არა ვთქვათ, არამომჭირნედ, ბორჯომის მინის ქარხანა — 900 მანეთისას. არ შემიძლია მხარი არ დავუჭირო პატივცემულ იურის იმაში, რომ სახელმწიფო დოვლათისადმი უყაირათო დამოკიდებულებისათვის მანეთით უნდა ვსჯიდეთ, ოღონდ ამ მანეთის ამოღება ხელმძღვანელს საკუთარი ჯიბიდან უნდა უხდებოდეს.

ი. ჟღენტი: ამ საკითხს პირველად როდი ვაყენებთ, მაგრამ რეალურად არაფერი იცვლება.

ბ. ლომჯანიძე: ესე იგი, არასაკმარისად მწვავედ ვაყენებთ, თვითონ არა ვართ საკმარისად დაინტერესებულნი მომჭირნეობით.

შ. ამაშუკელი: გასაგებია, რომ რესურსების დაზოგვა დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეა, რომლისთვისაც თითოეული ჩვენგანი აგებს პასუხს. მომჭირნეობის მნიშვნელობა მთლიანად სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების კვალობაზე იზრდება. რამდენად არის დღეს გაზიფიცირებული რესპუბლიკა?

ბ. ლომჯანიძე: გაზი საქართველოში მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის წინ მოვიდა. ცისფერი ალი თავდაპირველად რუსთავში აციმციმდა, მერე კი — თბილისში. ახლა მას იღებს 150 ქალაქი და სოფელი, რამდენიმე ათასი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტი. გაყვანილია რვა ათას კილომეტრზე მეტი სიგრძის მაგისტრალები.

გაზეთ „კომუნისტისა" და საქინფორმის ერთობლივი მრგვალი მაგიდა

გაზის ხვედრითი წილი რესპუბლიკის სათბობ ბალანსში ახლა 52 პროცენტს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე საშუალოდ კავშირში. განსაკუთრებით გაიზარდა გაზიფიკაციის მოცულობა და ტემპი მიმდინარე ხუთწლედში. მარტო შარშან ბუნებრივი გაზი ხაშურის გარდა მიიღეს აბაშამ, ცხაკაიამ, ზუგდიდმა, ხოლო წლის განმავლობაში გაყვანილი ხაზების სიგრძემ 400 კილომეტრს გადააჭარბა. დიდი მოცულობის სამუშაო შესრულდა აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ამოქმედდა მაგისტრალური გაზსადენები ცხინვალი — ჯავა და დმანისი — წალკა. გაზის ხაზებზე ქალაქებისა და რაიონული ცენტრების მიერთების პარალელურად იაფი ბუნებრივი სათბობი 12 სოფელმა მიიღო.

ა. კოკაია: გაზიფიკაციის სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა დიდია. ეს, უწინარეს ყოვლისა, სათბობის იაფობით არის განპირობებული. მაგალითისათვის ვიტყვი: ტონა მაზუთი 45 მანეთი ღირს, ეკვივალენტური რაოდენობის გაზი კი — 15 მანეთით ნაკლები, ამასთან, გადატანის ხარჯებს და გამოთავისუფლებულ ტრანსპორტს თუ არ ჩავთვლით. გარდა ამისა, გაზი სახლში ნიშნავს სითბოსა და კომფორტს, ეს არის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და, მაშასადამე, მუშათა კადრების დამკვიდრება დაშორებულ, მეტადრე, სასოფლო-სამეურნეო რაიონებში. წყდება მთელი რიგი ეკოლოგიური პრობლემებიც — აღარ იჩეხება ტყე, ეროზიას არ განიცდის ნიადაგი, უქმდება ათობით პატარ-პატარა საქვაბე, მავნე ამონაფრქვევებით რომ აჭუჭყიანებენ ატმოსფეროს.

შ. ამაშუკელი: მაგრამ ყველაზე დიდი მოცულობის სამუშაო ქუთაის-სოხუმის მონაკვეთზე შესრულდა. რა სიძნელეებს გადააწყდით?

ბ. ლომჯანიძე: ეს, უწინარეს ყოვლისა, იყო რელიეფის რთული პირობები. ტრასის 212 კილომეტრიდან 41 კილომეტრი მთაში გავიყვანეთ, კიდევ 44 — კლდეში, 3 — ჭაობიან ადგილას. ამას დაუმატეთ რკინიგზის ლიანდაგებისა და საავტომობილო გზების, ხევების, მდინარეებისა და სარწყავი არხების ხშირი გადაკვეთა. ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ტრასის მთელ გაყოლებაზე დარგის მშრომელებს არ დაუზიანებიათ არც ერთი ჩაის ან ციტრუსის პლანტაცია, რომლებითაც ასე მდიდარია დასავლეთ საქართველო.

ეს ხაზი სახგაზკომს „საქტრანსგაზის" საწარმოო გაერთიანებასთან ერთად გაჰყავდა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოები შეასრულეს „საქგაზმშენის" ტრესტმა და ზოგიერთმა სხვა ორგანიზაციამ. ერთიანი გარჯით მოვახერხეთ სამუშაოთა წარმოება სტიქიის მიუხედავად, რომელიც შარშან დასავლეთ საქართველოს დაატყდა თავს. წყალდიდობა, ზვავები და მეწყერები, გრიგალისებური ქარები, ყველაფერი აგვიხდენია.

ა. კოკაია: რა სამომავლო გეგმები გაქვთ?

ბ. ლომჯანიძე: ქუთაის-სოხუმის ხაზი ითვალისწინებს განშტოებებს ბათუმსა და ფოთზე, რომლებიც ქობულეთს, მახარაძეს, ჩოხატაურსა და ლანჩხუთს მოიცავენ. ყველა ეს სამუშაო ამ ხუთწლედში შესრულდება. გადაგვაქვს ხაზი თერჯოლიდან ამბროლაურის მიმართულებით. ცისფერი სათბობის სადენ მილებს გავიყვანთ ახალქალაქამდე, აგრეთვე ტყვარჩელამდე. გრძელდება ახმეტისა და თიანეთის მომმარაგებელი ხაზის გაყვანა, რაც წრიულ სისტემას შექმნის, რის მეშვეობითაც გაუმჯობესდება ბუნებრივი გაზით მთელი კახეთის მომარაგების საიმედოობა.

სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ ორი ათასი წლისათვის საქართველოს ყოველწლიურად 15 მილიარდი კუბური მეტრი გაზი დასჭირდება. ჩვენი შემდგომი პროგრამის მიზანია ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ა. ალავერდიევი: და მაინც ვერც ელექტროენერგიას, ვერც გაზს, რაგინდ დიდი მოცულობითაც გამოიმუშაონ ისინი და მიაწოდონ მომხმარებლებს, ვერ უზრუნველყოფენ რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის გაწონასწორებას. ყველგან არის საჭირო ნავთობპროდუქტები — ტრანსპორტზეც, სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო ობიექტებზეც. შარშან რესპუბლიკამ ათ მილიონ ტონამდე ნავთობპროდუქტი მიიღო. შესრულდა მოსახლეობისათვის მისი მიყიდვის გეგმა. მაგრამ დავალებულ ასორტიმენტს თავი ვერ გავართვით.

განსაკუთრებულ დაუკმაყოფილებლობას იწვევს ბიტუმის, ზოგიერთი სახეობის ბენზინის სისტემატური დაკლება. ეს, ძირითადად, გამოწვეულია ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების საწარმოო პროგრამების ჩაფუშვით. მიღწეული არ არის მოწოდების რიტმულობა, სტაბილურობა. ასეთი მდგომარეობა ერთი მხრივ აიხსნება ჩვენი ლიმიტირებით ხელშეკრულებების დისციპლინის დამრღვევი მომწოდებლების მიმართ, მეორე მხრივ კი — რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის შეფერხებებით. ჩვენ დღემდე ვერ შევქმენით ნავთობპროდუქტების ცისტერნებისაგან შემდგარი მარშრუტების დაჩქარებული გავლის საიმედო სისტემა, ვერ მივაღწიეთ ბათუმის სადგურიდან რესპუბლიკის ნავთობბაზებზე მათი მისვლის ნორმატიული ვადების დაცვას.

ამჟამად კომიტეტში შემუშავებულია მიზნობრივი პროგრამა, რომლის განხორციელება საშუალებას მოგვცემს ხუთწლედის დამლევამდე გადავჭრათ ბევრი პრობლემა.

შ. ამაშუკელი: თქვენს წინაშე წამოჭრილი პრობლემებიდან რომელია წამოწეული წინა პლანზე?

ა. ალავერდიევი: მთავარ ამოცანად რჩება მომჭირნეობის რეჟიმის მკაცრი დაცვა. ნედლეულის სათბობის მოპოვება სულ უფრო ძვირდება, რესურსების 80 პროცენტი ხომ საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთში, ციმბირში მდებარეობს. რესურსების დამუშავების ორგანიზაციისათვის საჭიროა ქალაქების აშენება, გზების გაყვანა და ვინ იცის კიდევ რა. დაუმატეთ ამას ჩვენი უზარმაზარი სახელმწიფოს ერთი ბოლოდან მეორეში ტვირთის გადასატანად სატრანსპორტო ხარჯებიც და გასაგები იქნება რატომ გახდა ნედლეულის რაციონალურად გამოყენების პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი.

ი. ჟღენტი: შევნიშნავ, რომ ეს პრობლემა დღეს მარტო სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის სამსახურებს კი არა, ყველა საღად მოაზროვნე სამეურნეო მუშაკს უნდა აწუხებდეს.

ა. ალავერდიევი: დიახ, თანდათან ყველა ხვდება, რომ თუ მომჭირნეობას არ გამოიჩენთ, ვერ მივაღწევთ მიზანს. სათბობის მომჭირნეობის გაძლიერების მიზნით განხორციელდა ღონისძიებები და ამას საგრძნობი პრაქტიკული შედეგიც მოჰყვა. თუმცა, დარგში ჯერ კიდევ საკმაოდ იგრძნობა ნეგატიური მოვლენები, რაც ართულებს მომჭირნეობისათვის ბრძოლას. ნავთობი განსაკუთრებული კატეგორიის ნედლეულია, მისი რაციონალური, გონივრული გამოყენებით მრავალი სახეობის პროდუქტის მიღება შეიძლება. ამის მაგალითად გამოდგება მარნეულის ნავთობბაზის კოლექტივის მოქმედება. აქ წარმოების ნარჩენებიდან აითვისეს საცხები მასალის ემულსიის დამზადება, რომელზედაც დიდი მოთხოვნაა, რომ ძლივს აუდიან შეკვეთების შესრულებას. შარშან ემულსიის რეალიზაციით ბაზამ მიიღო დიდძალი მოგება, რომელსაც სოციალური განვითარებისათვის გამოიყენებენ. სხვათაშორის, მარნეულელთა სიახლით ქვეყნის ბევრი მონათესავე საწარმო დაინტერესდა.

ბ. ლომჯანიძე: სამწუხაროდ, ასეთი ფაქტებით განებივრებულნი არა ვართ.

ა. ალავერდიევი: ამ სტრატეგიული ძვირფასი ნედლეულისადმი დამოკიდებულება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ხშირად ნავთობპროდუქტების ხარჯვის ელემენტარულ ნორმებსაც კი ვერ იცავენ. არ სრულდება მათი მიღების, შენახვის, გაცემის ინვენტარიზაციის წესები. საწვავი და ზეთი გაიცემა არასტანდარტული ჭურჭლით, რაც, ცხადია, ართულებს დანახარჯების აღრიცხვას და დანაკარგები ტონობით გადის. სამეურნეო ხელმძღვანელებმა კარგად იციან ეს, მაგრამ არა სწორად გამოიყენებენ ეკონომიის რეჟიმს. სწორედ ამიტომ სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცება, უყაირათობისა და მფლანგველობის, დანაკარგებისა და ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენთვის უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა. ამ საქმეში აქტიურად გვეხმარებიან საზოგადოებრივი ორგანოები, სახალხო კონტროლი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ამასთან ერთად წუთითაც არ გვავიწყდება, რომ წესრიგისათვის დარგში უწინარეს ყოვლისა, ჩვენ, ხელმძღვანელები ვაგებთ პასუხს.

ა. კოკაია: ალბათ, საჭიროა დავასახელოთ ორგანიზაციები, რომლებიც უყაირათოდ ეკიდებიან საქმეს, თვითნებობენ, იტაცებენ სახელმწიფო ქონებას.

ა. ალავერდიევი: ყველა მათგანის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, თუმცა ზოგიერთს დავასახელებ. მარტო მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში განხორციელებულმა შემოწმებამ გამოავლინა უწესრიგობის მრავალი ფაქტი. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში, მაგალითად, უკანონოდ გაიყიდა 178 ტონა ნავთობბიტუმი, ხოლო რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში გადახარჯეს 92 ტონა სადიზელო სათბობი და ბენზინი. გათვალისწინებულზე 76 ტონით მეტი ავტობენზინი გადაიხარჯა აგრეთვე ბოლნისის სამანქანო-სატრაქტორო პარკის სარემონტო-საწარმოო ცენტრში, 42 ტონა ბენზინი გამოიყენეს არადანიშნულებისამებრ ქუთაისის ავტოქარხნის საწარმოო გაერთიანებაში. ასევე დიდძალი რაოდენობის საწვავი გამოიყენეს არადანიშნულებისამებრ აგრეთვე საავტომობილო გზების სამინისტროს თელავის საგზაო-საექსპლოატაციო სამმართველოში და ბორჯომის რძის ქარხანაში.

ი. ჟღენტი: ხომ უყენებთ სანქციებს საწვავის ურჩ მფლანგველებს?

ა. ალავერდიევი: კი ვუყენებთ, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, საქმეს მაინც და მაინც არ შველის. თქვენი თქმის არ იყოს, ვიდრე ჯარიმას ორგანიზაციათა ხელმძღვანელები სახელმწიფო ჯიბიდან იხდიან, ბევრს ვერაფერს მივაღწევთ. საკუთარი ტრანსპორტის მქონე ორგანიზაციების მიერ წესრიგის დარღვევის შემთხვევები, როგორც წესი, დაკავშირებულია საწვავის გადახარჯვასა და მისი არადანიშნულებისამებრ გამოყენებასთან, ნავთობის საწყობების და ავტომობილების სასპიდომეტრე მოწყობილობისა და სხვა მექანიზმების არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობასთან. საქსახაგრომრეწვის მეურნეობებში, მაგალითად, ასეთი ავტომობილების რაოდენობა 50 პროცენტზე მეტს შეადგენს. მანქანების მუშაობისა და საწვავის დანახარჯების აღრიცხვა ამ დარგში მოქმედი ინსტრუქციების დარღვევით მიმდინარეობს. არ ივსება მთლიანად საგზურებისა და სასოფლო-სატრანსპორტო ზედნადებების ყველა გრაფა. და პირიქით არ არსებობს ხოლმე ავტომობილებისა და მექანიზმების მიერ შესრულებული სამუშაოების დოკუმენტური დასაბუთება, რაც ხელს უწყობს საცხებ-საპოხი მასალების უკონტროლო ხარჯვას, სხვა ნეგატიურ მოვლენებს.

შემოწმებულ ორგანიზაციათა დიდი ნაწილი ცუდად „ზრუნავს" ნავთობპროდუქტების შენახვაზე. ხშირად საცხებ-საპოხი მასალების რეზერვუარები არაგერმეტულია, აქვთ სხვა ტექნიკური ხასიათის ნაკლი. იმის გამო, რომ ათი კუბური მეტრი მოცულობის რეზერვუარებს უბრალო სასუნთქი სარქველები არა აქვთ ხოლმე, ორი ტონა საწვავი იკარგება წელიწადში. არადა, სარქველის შეძენას სულ რაღაც 117 მანეთი ჭირდება. ერთ წამში წვეთი საწვავის დაკარგვა წლის დამლევამდე ტონებში გადადის. ეს საქმისადმი სრულიად უპასუხისმგებლო მიდგომის შედეგია. ნავთობსაწყობების იატაკიანი, არადეფექტიანი მოწყობილობებით აღჭურვა სულ ადვილი საქმეა, მაგრამ ეს ბევრს, ალბათ, ხელს არ აძლევს, ზოგს თავის შეწუხება არ უნდა. ნუთუ აუცილებელია წამდაუწუმ მოვაგონოთ სამეურნეო ხელმძღვანელებს ის, რომ მეთორმეტე ხუთწლედისა და შემდგომ პერიოდში განსაკუთრებული ამოცანები უეჭველად მომჭირნეობას ეფუძნება?

ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტმა იცის თავისი ნაკლოვანებები და ყველაფერს ღონობს მათ აღმოსაფხვრელად. ასევე კეთილი ინებონ და მიხედონ საქმეს სამეურნეო ხელმძღვანელებმა, კონკრეტულად აგონ პასუხი უყაირათობისა და მფლანგველობისათვის.

შ. ამაშუკელი: ცხადია, დღეს დეტალურად ვერ შევეხეთ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების ყველა პრობლემას, მის წინაშე მდგარ ამოცანას. თუმცა, საუბრიდან გამოიკვეთა აქტუალური საკითხი, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების აუცილებლობა. მრგვალი მაგიდის ყველა მონაწილის აზრით სათბობ-ენერგეტიკული რესურსების, რაციონალური გამოყენება ეკონომიის ყველა დარგის, მათი ხელმძღვანელობის, თითოეული მოქალაქის მოთხოვნილება უნდა გახდეს, ბოლო უნდა მოეღოს ამ მხრივ არსებულ ყველა ნაკლოვანებას. ყველამ ვაგოთ პასუხი მფლანგველობისათვის, რესურსების უთავბოლო ხარჯვისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. ვადაჭკორიას კომენტარი

მდიდარია, ვინც თადარიგიანია

სახალხო მეურნეობის განვითარებაზე სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის გავლენა ხორციელდება, ძირითადად, ორი მიმართულებით: თვით კომპლექსის ფუნქციონირების ეფექტიანობის გადიდებისა და კომპლექსის პროდუქციის, განსაკუთრებით ელექტროენერგიის სხვა დარგებზე ზემოქმედების გზით. ამასთან იზრდება აქტიური და მიზანმიმართული ენერგოდამზოგავი პოლიტიკის მნიშვნელობა.

ჩვენს რესპუბლიკაში სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი წარმოდგენილია ენერგეტიკის, ქვანახშირისა და ნავთობის მოპოვების, გადამუშავების, ბუნებრივი გაზის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, აგრეთვე არატრადიციულ სახეობათა ენერგიის გადამუშავების ტრანსპორტირებისა და მიწოდების საწარმოებით. კომპლექსის განვითარების მოქმედი პროგრამა ითვალისწინებს მისი პოტენციალის არსებით ზრდას. ნაწილობრივ ამის შესახებ უკვე გვესაუბრებიან შესაბამისი დარგების ხელმძღვანელები, რომლებიც მონაწილეობენ ჩვენს დღევანდელ შეხვედრაში. მინდა დავძინო, რომ არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თვით რესპუბლიკაში უზრუნველვყოთ ქვანახშირისა და ნავთობის მოპოვების ზრდა.

ქართული ნავთობი თავისი შემადგენლობით საუკეთესო ხარისხისაა. მას არა აქვს გოგირდის, ქვიშის, პარაფინის შენარევები, მაღალი ზეთიანობით ხასიათდება. რესპუბლიკაში უდიდესია სამგორის საბადო. ბოლო გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ჩვენი მიწის წიაღიდან მოპოვებული არ არის მის სიმდიდრეთა ნახევარიც კი. ეს დაადასტურა ქართველი და გროზნოს მენავთობეთა მიერ ერთად გაბურღულმა 5500 მეტრი სიღრმის ჭაბურღილმა. აქედან დაიწყო გაერთიანება „საქნავთობის" საქმიანობის ახალი ეტაპი. ბურღვის ოსტატები შეუდგნენ ღრმად მდებარე ნავთობიანი დანალექების იერიშს.

ბოლო დროს კი ნავთობის მოპოვება სულ უფრო ინაცვლებს მთებში. კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე, სოფლების ნინოწმინდისა და პატარძეულის ახლოს აღმოჩენილია პერსპექტიული გეოლოგიური სტრუქტურები. აქ მოპოვებულმა პირველმა ნავთობმა ცხადყო, რომ თვისებებით არ ჩამოუვარდება სამგორისას. „შავი ოქროს" საკმაო მარაგი არის სოფელ მანავის ახლოს. აჭარის მიწები თითქოს გაგრძელებაა ნავთობიანი სამგორის სტრუქტურისა.

დასახულია განვითარდეს მთებში ნავთობის მოპოვება, თუმცა ეს იოლი საქმე როდია. სამუშაოებს აძნელებს გზების უქონლობა, გართულებულია მოწყობილობის მიწოდება, ნედლეულის ტრანსპორტირება. მთების „ათვისებაში" გვეხმარება უკრაინისა და გროზნოს მენავთობეთა გამოცდილება, რომლებიც უკვე პირველი ათწლეული როდია წარმატებით მოიპოვებენ ნავთობს მთებში. ამავე დროს ქართველი მენავთობეები დაზვერვას აწარმოებენ რესპუბლიკის სხვა რაიონებში და თითქმის ყველგან პოულობენ ნავთობიან დანალექებს. მაგალითად, ძვირფასი ნედლეული აღმოჩნდა რუსთავის, კასპის, ლანჩხუთის ახლოს.

არასახარბიელო სიტუაცია იქმნება ქვანახშირის მრეწველობაში: ქვანახშირის მოპოვების ტემპი უკვე დიდი ხანია არ იზრდება. მატების უზრუნველყოფას გარკვეულწილად ხელს შეუწყობს ფენების, დიდეფექტიანი მანქანებისა და მექანიზმების, მაგალითად, გვირაბგასაყვანი და მომპოვებელი კომბაინისა და სხვათა შემუშავების დახვეწილი სქემების დანერგვა. მაგრამ ეს, ხაზგასმით აღვნიშნავ, მხოლოდ ნაწილობრივი ღონისძიებაა. დარგი „სნეული" და მრავალი პოზიციის ძირეულ გადასინჯვას საჭიროებს. მაგრამ დღეს ჩემი მიზანი არ არის დეტალურად გავაანალიზო ქვანახშირის მრეწველობაში შექმნილი მდგომარეობა. მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ყოველი ტონა მოპოვებული სათბობი სულ უფრო ძვირი გვიჯდება. ამიტომ წინა პლანზე წამოიწია იმან, რომ საჭიროა უაირათოდ, რაციონალურად გამოვიყენოთ ყველა სახეობის სათბობ-ენერგეტიკული რესურსები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმზე საწარმოთა საქმიანობის პრაქტიკული შედეგების უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად დასახელებს მოგება. დიახ, ჩვენ გვჭირდება საუკეთესო ხარისხის ბევრი პროდუქცია, ბევრი საქონელი. მაგრამ სულაც არ არის სულერთი, რა გზით, რა დანახარჯებით ვაღწევთ ამას. წარმოების ინტენსიფიკაციის, მისი ეფექტიანობის გადიდების პირობა გახდა სათბობისა და ენერგიის ეკონომია.

დღეს რესურსების ეკონომიის ბევრი საშუალება გვაქვს. თანაც ისეთი, რომლებიც არ მოითხოვენ მნიშვნელოვან კაპიტალურ დაბანდებებს და სწრაფად იძლევიან ეფექტს. წარმოებაში, მაგალითად, ბევრი სათბობი იხარჯება ამაოდ ორთქლსადენებისა და მოწყობილობის ცუდი თბოიზოლაციის გამო. დიდია დანაკარგები ელექტროძრავების ფუჭი მუშაობის, სათბობი ღუმელების არასრული დატვირთვის, ავტომანქანების ცარიელი და „მარცხენა" გარბენების შედეგად ა. შ. ასეთი დანაკარგები კარგად არის ცნობილი და მეტწილ საწარმოში ისინი ლიკვიდირებულია. ამის მეოხებით ენერგეტიკოსებმა შეძლეს გასულ წელს დაეზოგათ დაახლოებით სამი მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გამოსაყენებელი რეზერვი და შესაძლებლობანი, განსაკუთრებით საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში, რომლის წილად მოდის სათბობ-ენერგეტიკული რესურსების საერთო დანახარჯების დაახლოებით მეხუთედი. ბევრი დანაკარგი აქ გამოწვეულია მთელ რიგ უბნებში თბოიზოლაციის უქონლობით, საქვაბე აგრეგატებისა და მოწყობილობების არაეფექტიანობით. არ არის თბომომარაგების რეჟიმების რეგულირების ავტომატიკა. საკმარისად არ წარმოებდა შარშან რესურსდამზოგავი სამუშაოები აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, ქალაქებში ჭიათურაში, გორში, ტყვარჩელში, გაგრასა და სხვა ქალაქებში.

ენერგიის სამეურნეო გამოყენების მნიშვნელოვანი რეზერვი, როგორც აქ აღინიშნა, ის არის, რომ მაქსიმალური დატვირთვის საათებში შევამციროთ სიმძლავრეები, გადავაადგილოთ შესვენებები და ცვლები, ცალკეული საამქროებისა და საწარმოების მუშაობა გადავიტანოთ ღამით და კვირა დღეებში, სარემონტო სამუშაოები შევასრულოთ საღამოს საათებში.

რა თქმა უნდა, საწარმოო კოლექტივების ცხოვრებაში არის რთული, ზოგჯერ ექსტრემალური სიტუაციები, რომელთა გამოსწორებას გაუთვალისწინებელი, მათ შორის ენერგეტიკული ხარჯები მოჰყვება. უნდა ვისწავლოთ გავაანალიზოთ ასეთი სიტუაციების მიზეზები, გამოვიტანოთ დასკვნები. შარშან მძიმე განსაცდელად დაატყდა თავს სტიქია საქართველოს. მაგრამ ბოლო ხანების თოვამ კვლავ გამოიწვია დარღვევები სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში. მაშასადამე, გასული ზამთრის გაკვეთილებმა შესაბამისი დასკვნები ვერ გამოგვატანინეს, უდავოა ექსტრემალური სიტუაცია ექსტრემალური სიტუაციაა, მაგრამ უნდა ვისწავლოთ, როგორ დავაღწიოთ მას თავი ღირსეულად, ანუ მინიმალური დანაკარგებითა და ზარალით.

ენერგორესურსების ეკონომიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მცირე ჰიდროენერგეტიკას. ამ რესურსების ათვისება დიდად საჭიროა სახალხო მეურნეობისათვის და შეესაბამება სკკპ XXVII ყრილობის დებულებებს. რესპუბლიკაში მცირე ჰიდროელექტროსადგურების განვითარების პროგრამით დასახულია შვიდი მცირე ჰიდროელექტროსადგურის აღდგენა და მოდერნიზაცია და სამის აგება. მისი განხორციელება ხუთწლედის დამლევისათვის სახალხო მეურნეობას დამატებით მისცემს წელიწადში 170 მილიონ კილოვატსაათს, რაც 60-65 ათასი ტონა ორგანული სათბობის ეკონომიის ტოლფარდია.

დაწყებულია აგრეთვე საკვანძო ბაზების, სათბობმომარაგების გაზასავსებისა და გაზგასაცემი სადგურების ინტენსიური მშენებლობა და რეკონსტრუქცია, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ გათხევადებული ნავთობისა და შეკუმშული ბუნებრივი გაზის გამოყენება, რაც აგრეთვე ყოველწლიურად დაგვაზოგინებს დაახლოებით 150 ათას ტონა სათბობს.

მეტად პერსპექტიულად მესახება არატრადიციული სახეობის ენერგიის — გეოთერმული, მზის, მთაბარის ენერგიის ფართო გამოყენება. მაგრამ მათი პრაქტიკული გამოყენების საკითხი მეტ დაკონკრეტებას, შესაბამისი სამსახურების დაინტერესებას მოითხოვს. განსაკუთრებით ეს ეხება ქარის დანადგარებს, რომელთა სერიული გამოშვება ჯერჯერობით არ არის მოგვარებული. მასობრივი გამოყენება ვერ ჰპოვეს თბოტუმბოებმა, თუმცა მათ წარმატებით იყენებენ [illegible] ფაბრიკასა და საგარეჯოს ყველ-კარაქის ქარხანაში.

სახალხო მეურნეობაში სათბობისა და ენერგიის რაციონალური გამოყენების გზების გამოძებნა ულევებად აქტუალური ამოცანა, სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა. მათი უმკაცრესი ეკონომია მრავალი წლის მანძილზე იქნება სახალხო მეურნეობის განვითარების, სახალხო კეთილდღეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობა.

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის ღირსეულად შეხვედრისათვის შრომითი კოლექტივებისა და წარმოების მოწინავეების ინიციატივის შესახებ. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა საწარმოების, საამქროების, უბნებისა და ბრიგადების კოლექტივთა მეცადინეობა მოხმარდეს კონკრეტული მიჯნების მიღწევას.

ცხადია, როცა კონკრეტული მიჯნების დაძლევაზეა ლაპარაკი, იგულისხმება სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვასთან დაკავშირებული ვალდებულებაც. შრომითს მეტოქეობაში, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ მხრივ უნდა მივაღწიოთ სასურველ შედეგს. არასდროს არ უნდა გამოგრჩეს მხედველობიდან ის, რომ ეკონომიკის დაჩქარებული განვითარება უმკაცრეს მომჭირნეობას ეფუძნება.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

მაჩვენებელია ეკონომიკური ეფექტი

„შემოქმედებითი აზრისა და შემოქმედებითი შრომის კავშირი — ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დაჩქარებულ შექმნას" — ამ დევიზით დაიწყო რუსთავის საწარმოებში მეცნიერებისა და ტექნიკის წარმოებაში დანერგვის დათვალიერება. ინიციატორად გამოვიდა მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი.

შემუშავებულია საწარმო-ორგანიზაციათა შეჯიბრების პირობები. ამ პირობების თანახმად ქარხნის მუშაკთა წვლილი შეფასდება ეკონომიკური ეფექტიანობის მიხედვით, მეცნიერებისა და პროექტანტებისა — დასრულებული სამუშევრების მიხედვით.

მეტალურგიული ქარხნის პარტიულ კომიტეტთან არსებულმა ტექნიკურ-ეკონომიკურმა საბჭომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი უმნიშვნელოვანესი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების — „ლითონის" და „მანქანათმშენებლობის" განხორციელების დასაჩქარებლად. პირველი შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად ამაღლდეს მეტალურგიული წარმოების თვისებრივი დონე მიმდინარე ხუთწლედში, ხოლო მეორე — შემცირდეს შრომითი დანახარჯები 500 ათასი ნორმასაათით, დაიზოგოს 10.000 ტონა ნედლეული.

ამ საქმეში დიდი როლი ეკისრებათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტს, რუსთავის მეტალურგიული ქარხნების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტსა და „ავტომატმრეწვს".

ქართული მაღაზია ვენაში

ვენის მაღაზია-სალონში გაჩნდა ფირნიში, რომელზეც წარწერილია „ფირმა „სოლანის" ქართული სამხატვრო სახელოსნოები". იგი გაიხსნება მაისის შუა რიცხვებში ავსტრიის დედაქალაქის ცენტრში, ბეკერშტრასეს ქუჩაზე, წმინდა სტეფანეს ტაძრის მახლობლად, საქართველოს სს რესპუბლიკის დღეებში.

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საფირმო მაღაზიის შექმნის გამო კონტრაქტს ხელი მოაწერეს თბილისში საქართველოს რესპუბლიკური საგარეო-სავაჭრო გაერთიანება „საქიმპექსის" გენერალურმა დირექტორმა დ. ვერულეიშვილმა და ავსტრიის „მინექსის" ფირმის მეთაურმა ლ. ბაუსბეკმა.

იგი ვენაში ქართული კულტურისა და ხელოვნების პროპაგანდის ცენტრიც იქნება. სხვათა შორის, იგი ჩვენი რესპუბლიკის მხატვრებმა და ოსტატებმა გააფორმეს.

ავსტრიის საქმიანი წრეები დიდ ინტერესს იჩენენ საქართველოსთან ეკონომიკური კონტაქტების დამყარებისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსოვნა

ბრძოლაში დაფერფლილი სიცოცხლე

ვ. ბახტაძის დაბადების 90 წლისთავის გამო

1930 წლის 7 დეკემბერს, თბილისში, პროფკავშირების სასახლიდან ცხედარი გამოასვენეს. სამუდამოდ ეთხოვებოდნენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 34 წლის კაცს, პარტიისა და პროლეტარული რევოლუციისათვის თავდადებულ მებრძოლ ბოლშევიკს, ნიჭიერ პუბლიცისტსა და კრიტიკოსს, გაზეთ „კომუნისტის" ერთ-ერთ პირველ რედაქტორთაგანს,

...

რადაც უნდა დამჯდომოდა სამაგიერო გადამეხადა მათთვის".

ხონის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მან ქუთაისის გიმნაზიაში განაგრძო სწავლა და უმალ ჩაება მოსწავლეთა სოციალ-დემოკრატიული წრის მუშაობაში, იყო არალეგალური ჰექტოგრაფიული ჟურნალის — „დღენი ჩვენი ცხოვრებისა" — ერთ-ერთი რედაქტორი.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ...

ციალ-დემოკრატიული წრე, რომელსაც მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. წრეს კავშირი ჰქონდა პარტიის პეტერბურგის კომიტეტთან.

თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ ვ. ბახტაძე მუშაობდა პეტერგოფის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილედ. დროებითი მთავრობის მიერ დაწყებული შეტევის დროს იგი გაგზავნეს ...

...

სიძულვილით. თავისი ბავშვობის შესახებ შემდეგში ასე წერდა: „სიძულვილი მდიდრებისადმი თავიდანვე დამყვა, რადგან ჩემს საკუთარ ზურგზე ვგრძნობდი მათი ბატონობის სიმწვავეს... მათდამი სიძულვილთან ერთად პატარაობიდანვე დამჩემდა სურვილი,

... მავე იგი ... მიერვე დაარსებული არალეგალურ წრეებს.

1916 წელს ვ. ბახტაძე მობილიზაციით გაიწვიეს მეფის არმიაში და პეტერგოფის პრაპორშჩიკთა სკოლაში გამწესეს. მან იქ სხვებთან ერთად შექმნა სო-

... წლის იანვრიდან გამოდიოდა გაზეთი „მუშის სიმართლე". 1918 წლის გაზაფხულზე აირჩიეს პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის წევრად. ამავე წლის აპრილში აქტიურად მონაწილეობდა მენშევიკური მთავრობის წი-

ნაალმდეგ სამეგრელოს გლეხთა აჯანყებაში.

მენშევიკური კონტრრევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ აფხაზეთის მშრომელთა აჯანყების პერიოდში (1918 წლის გაზაფხული) ვ. ბახტაძე ხელმძღვანელობდა აჯანყებულთა სამხედრო-საზღვაო რაზმს და შედიოდა სამხედრო-რევოლუციური შტაბის შემადგენლობაში.

აფხაზეთის მშრომელთა აჯანყების დამარცხების შემდეგ გადავიდა პიატიგორსკში, იქიდან კი ვლადიკავკაზში, სადაც ხელმძღვანელობდა კომუნისტურ რაზმს და აქტიურად იბრძოდა დენიკინის ბანდების წინააღმდეგ. დენიკინელებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს იგი ტყვედ ჩავარდა, მაგრამ მოახერხა გაქცევა და ვლადიკავკაზში დაბრუნდა.

თერგის საბჭოთა რესპუბლიკის დროებითი დამარცხების შემდეგ ვ. ბახტაძე 1918 წლის თებერვალში ბრუნდება საქართველოში, სადაც მენშევიკურმა მთავრობამ დააპატიმრა. განთავისუფლების შემდეგ დაავადებული ვ. ბახტაძე ჩადის ხონში და იქ

...

ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელი იყო. მან დიდი როლი შეასრულა ახალგაზრდული ორგანიზაციის „სპარტაკის" დაარსებაში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ვ. ბახტაძე ჯერ მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორად, შე-

მდეგ პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის მდივნად, ხოლო ბოლოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ.

მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ვ. ბახტაძე მთელ თავის ახალგაზრდულ ენერგიას ახმარდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების დიად საქმეს. ამ პერიოდშიც იგი იარაღით იბრძოდა მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ, რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად. 1924 წელს, მენშევიკური ავანტიურის ალაგმვის დროს, დივიზიის კომისარი იყო.

ვ. ბახტაძე ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობასთან ერთად ენერგიულად ილვწოდა ქართული საბჭოთა კულტურისა და ლიტერატურის განვითარებისათვის. სხვადასხვა დროს იგი სათავეში ედგა ჟურნალ „მნათობს", გაზეთებს „მუშას და გლეხს", „ახალ სოფელს" და სხვ.

ცნობილია, თუ რა რთული, მრავალფეროვანი და წინააღმდეგობებით აღსავსე იყო იმდროინ-

...

ვანი წარმომადგენელი იყო.

ნ. ჩირაძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

ძმობის ფესვები: სამხრეთ ოსეთი

ეროვნულ საკითხზე მ. ს. გორბაჩოვის გულწრფელმა ნათქვამმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე, გაგვახსენა სიტყვები ოსური ეპოსიდან „ნართები" — „ხალხები ერთმანეთს ძმებზე უფრო დაუკავშირდებიან". ამის ბრწყინვალე მაგალითია ერთ მიწა-წყალზე მცხოვრებ ქართველთა და ოსთა ძმობა. მათ ურთმანეთოდ არასოდეს გაუძლიათ, მტერ-მოყვარეს ერთიანი ძალისხმევით ხვდებოდნენ.

მეფე დავით აღმაშენებელმა დარიალის კარი გაუღო ოსებს და საქართველოში სათანადგომოდ დაამკვიდრა. ქართველთა და ოსთა ლაშქარი საიმედოდ იცავდა საქართველოს მიწა-წყალს. მას შემდეგ კი თამარ მეფემ თავისი ბედი ოსთა მეფისწულს დავით სოსლანს რომ დაუკავშირა, უფრო შედუღაბდა ქართველთა და ოსთა ძმობის საძირკველი.

დღემდე გრძელდება ეს მოყვრობა ჩვენს შორის. იქმნება მყარი და ერთგული ოჯახები.

ქართველთა და ოსთა ძმობამოყვრობის განმტკიცებას დიდად შეუწყეს ხელი ამ ხალხების განმანათლებლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, მწერლებმა. ნიკოლოზ ბარათაშვილს მოსწონდა სიტყვა „ჩიზგ" (ქალიშვილი), გრ. ორბელიანმა შეაქო „ფეხმარდი ოსები", გ. ერისთავმა ოსებისადმი დამოკიდებულება გამოხატა ნაწარმოებში — „ოსური მოთხრობა", დ. ჭონქაძე ოსური ენის

...

ზებს. ქართული თემა ყოველთვის შთაგონების წყარო იყო კოსტასთვის, მანვე შექმნა ფერწერული ტილოები ქართულ თემაზე.

საბჭოთა ეპოქამ, ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ ხორცი შეასხა ხალხის ყველა ოცნებას. სოციალისტური წყობილების გამარჯვებისთანავე ქართველ მწერალთა ხელშეწყობით იშვა ჟურნალი „ფიდიუაგი" (მოამბე) რომლის პირველსავე ნომერში ეროვნული ნაწარმოებების გვერდით დაიბეჭდა ილიას „გლახის ნაამბობი".

ქოს დეპუტატად აირჩია. მაშინ გიორგი ციციშვილმა თქვა: — „იმედი მაქვს, რომ შევძლებ ვემსახურო იმ დიდ საქმეს, რომელსაც ხალხთა ძმობა ჰქვია და რაც ყოველი დეპუტატის ყველაზე სისხლხორცეული, ყველაზე ღვიძლი საქმე უნდა იყოს. ოსი ხალხი ჩვენი ერის უპირველესი და უახლოესი ძმათაგანია და მე მიხარია, რომ წილად მხვდა ამ საუკუნოვანი, ურღვევი ძმობისადმი თანამედროვე ეტაპზე სამსახური, მისი ერთგულება, მის განმტკიცებასა და გაღრმავებაზე ზრუნვა".

ალანთებდა ქართული და ოსური ლექსი, სიმღერა, ცეკვა...

ოსი მწერლებისათვის ქართული თემა მშობლიურია. არა ერთი ნაწარმოები მიეძღვნა ძმობასა და მეგობრობას. ეს არის ლაიტმოტივი დავით ჯიოევის რომანისა „უძლეველი ძალა". სწორედ რომ ქართველთა და ოსთა ძმობის, ურთიერთობის, ერთგულების მხატვრული ასახვის ჩინებული ნიმუშია ეს ტეტრალოგია.

რევაზ ასაევის ლექსი „საქართველოს ცის ქვეშ ვმღერი", ილია კაკაბაგის პოეტური ქმნილება „ქართული ენა, ქართული სიტყვა", გიორგი ძუგაევის მოთხრობა „ძვირფასი სტუმარი", ნიკოლოზ გაგლოევის რომანი „ცეცხლის შუქით", გაფეზის, ნაფი ჯუსოითის, გიორგი ბესთაუთის, ჰაჯი-მურათ ძუწათის, ისიდორე ქოზაევის, ხაჯუმარ ალბორთის და ოსური მხატვრული სიტყვის სხვა ოსტატთა ნაწარმომებები ხალხთა მეგობრობის ჰიმნივით ჟღერს.

ახლა, განახლების ეპოქაში, დიდი საბჭოეთის ყველა ხალხის მძლავრი შეკავშირების პირობებში სიამაყით ვიმეორებთ გალაკტიონის სტრიქონებს:

„ჩვენ ავაშენეთ ქვეყანა ძმობის,
იგი ეყრდნობა ამ ქვეყნად
პირველს—
ხალხთა ძმობისა და
მეგობრობის,
ურთიერთ რწმენის ურყევ
საძირკველს".

ამ საუკუნო ძმობამ და მეგო-

მეგობრობა ჩვენი ლამპარია

ქართველთა და ოსთა მეგობრობა სულ უფრო მტკიცდება იმ შეხვედრებსა და საიუბილეო საღამოებზე, რომლებიც ეწყობა ხოლმე თბილისსა თუ ცხინვალში. ჯერ კიდევ 1932 წელს გალაკტიონი, გ. ლეონიძე, პ. იაშვილი ეწვივნენ სამხრეთ ოსეთს. მათმა სტუმრობამ ახალი, ნათელი ფურცელი ჩაწერა ჩვენი ხალხების

...

ოსეთს გულთბილად უმღერის დღევანდელი ქართული პოეზია. ოსი კაცის სტუმართმოყვარეობა, ვაჟკაცობა, ძმისათვის თავდადება, შრომის ჰეროიკა შთამბეჭდავად აისახა ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზიაში. ფიცივით ჟღერს მისი ლექსის სტრიქონები — „ერთად უნდა დავვადამოთ, ერთად უნდა გავათენოთ".

...

რიაში" — ეს იყო კ. ხეთაგუროვის „ირონ ფანდირს" (ოსური ლირა). კ. ხეთაგუროვმა წრფელი გულით დაიტირა მიხეილ ყიფიანი, მას მიუძღვნა უკვდავი ლექსი, „ოსი ხალხის ლეონარდო და ვინჩი", ერთი პირველთაგანი გამოესარჩლა ავადმყოფ ალ. ყა-

გიორგი ლეონიძე, და ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება. ქართული მწერლობისადმი თავისი სიყვარული ოსმა ხალხმა იმითაც გამოხატა, რომ რესპუბლიკის მწერალთა თავკაცი გიორგი ციციშვილი ზნაურის რაიონიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-

... წლისთავის იუბილე რომ გაუმართა კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში ცნობილ ქართველ პოეტს ირაკლი აბაშიძეს, ის საღამო გადაიქცა ქართველთა და ოსთა ძმობის კიდევ ერთ დიდ დემონსტრაციად: გულს

...

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი,

გ. თედეევი,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ქმედითობა

არა მხოლოდ პრაქტიკისათვის

„კომუნისტი" 1987 წლის 9 სექტემბერი

„კომუნისტის" კრიტიკულ გამოსვლას უპასუხებს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ი. გოგოლაძე:

გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულ სტატიაში მოყვანილი ფაქტები, რომელიც ეხებოდა იმას, რომ ქუთაისის კიროვის სახელობის საწარმოო სამკერვალო გაერთიანება და ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონი" დიდძალ მდარე ხარისხის პროდუქციას უშვებენ, სინამდვილეს შეესაბამება. ნაკლოვანებები გამოწვეული იყო საწარმოო დისციპლინისა და ტექნოლოგიური რეჟიმების უხეში დარღვევებით, ტექნიკური კონტროლის აპარატის არადამაკმაყოფილებელი მუშაობით. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ საწარმოებში ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარების პარკი მოძველებულია. გარდა ამისა, თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ბახტრიონის" საწარმოო გეგმის მოცულობის 80 პროცენტი იქერება ფილიალებში, რომლებიც განლაგებულია

...

ტვირთი მისამართით იგზავნება

სტეფანაკერტი. (მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი, აზერბაიჯანის სსრ), 29 თებერვალი. (საქდესის კორ.). სტეფანაკერტის რკინიგზაზე, როგორც საქდესის კორესპონდენტი იუწყება, ამუშავებენ სურსათის, კომბინირებული საკვების, საშენი კონსტრუქციების, ლითონის ტვირთს, რომელიც მთიანი ყარაბაღის საწარმოებსა და ორგანიზაციებს გამოუგზავნეს ქვეყნის სხვა რეგიონებმა.

...სატვირთო მოედნიდან ხშირად მიემართებიან ავტომანქანები. ტვირთისათვის ტრანსპორტი გამოგზავნეს ასკერანისა და შუშის რაიონულმა საწარმოო გაერთიანებებმა, სამშენებლო ორგანიზაციებმა, ავეჯისა და ფეხსაცმლის ფაბრიკებმა, ოლქის სხვა საწარმოებმა. სულ კვირა დღეს ტვირთის გადაზიდვაზე მუშაობდა 80-ზე მეტი ავტომანქანა.

მძღოლებთან ერთად მუშაობენ მეამწეთა ა. მარდიანისა და ი. იბრაგიმოვის რგოლები. ორ ცვლად დაამუშავეს მათ ახობით ტონა ტვირთი. მარტო ა. მარდი-

...

ახლა ყველაზე მთავარია მთელი ძალები მოვახმაროთ შექმნილი სიტუაციის დაძლევას, იმას, რომ გარდაქმნისა და განახლების პოლიტიკის სულისკვეთებით გადავწყვიტოთ კონკრეტული ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური საკითხები, აზერბაიჯანსა და სომხეთში დაგროვილი სხვა პრობლემები. ეს დებულება გაისმა მთიან ყარაბაღსა და მის გარშემო მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელების, ხალხებისადმი მ. ს. გორბაჩოვის მიმართვაში.

საქდესის კორესპონდენტებმა ინტერვიუ ჩამოართვეს აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების მშრომელებს.

ა. ახრიანი, ომისა და შრომის ვეტერანი.

აუცილებლად უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, რაც დღეს გვაღელვებს და გვაწუხებს. უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა გავიმსჭვალოთ ჩვენი სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ბედისათვის, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებისათვის, რისთვისაც მოგვიწოდებს მ. ს. გორბაჩოვის მიმართვა. ჩვენ, მთიანი ყარაბაღის მცხოვრებნი, მხარს ვუჭერთ მას, ვიზიარებთ შექმნილი სიტუაციით გამოწვეულ შეშფოთებას, რომე-

...

ერთმანეთის პატივისცემით

მიდორი, კიტრი, ბადრიჯანი, წიწაკა, ჩვენი მეურნეობის მშრომელებმა გადაწყვიტეს ამ ალოობის დროს სახელმწიფოს მიჰყიდონ თითქმის 17,5 ათასი ტონა ბოსტნეული — მეტი, ვიდრე რაიონის ნებისმიერი სხვა მეურნეობა მიჰყიდის.

სამუშაო თავსაყრელია, განწყობილება ხალისიანი, შრომითი გვაქვს. მაგრამ ბოლო დროს ჩვენს ცხოვრებასა და ჩვენს აზროვნებაში, შემოიჭრა მთიან ყარაბაღში დატრიალებული ამბები. რა თქმა უნდა, არ მჯერა და არც არასოდეს დავიჯერებ, რომ შეიძლება გაიბზაროს ორი მეზობლის, მოძმე ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა. ასეთ ერთსულოვან აზრს ადგას რგოლის ყველა წევრი, რომელსაც მე ვმეთაურობ. უბრალოდ გული მტკივა და მწყინს იმათ გამო, ვინც ყურად არ იღებს გონების ხმას.

ჩვენს აზრებს ადასტურებს მ. ს. გორბაჩოვის მიმართვა, რომელიც საველე ბანაკში მოვისმინეთ. სწორად არის ნათქვამი: სიმშვიდე და კეთილგონიერება უნდა გახდეს მთავარი მრჩეველი შექმნილ სიტუაციაში.

მობენ აქ ადამიანები, რა სიხარული და საზრუნავი აქვთ. პრობლემები, როგორც სამართლიანად აღინიშნა მ. ს. გორბაჩოვის მიმართვაში ჩვენი ხალხებისადმი, სომხეთშიც და აზერბაიჯანშიც საკმაოდ დაგროვდა. ვფიქრობ, რომ ერთ-ერთ ასეთ პრობლემად თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ საბინაო საკითხი.

ეს წელი ჩვენმა კოლექტივმა კარგად დაიწყო, დროულად უზრუნველყო მშენებლები ყოველივე საჭიროთი. მაგრამ უკანასკნელი დღეების მოვლენებმა გარკვეული სიძნელეები შეუქმნა დავალებათა შესრულებას. განა ღირს ხალხებს შორის შუღლისა და უნდობლობის გაღვივებით ხელს ვუშლიდეთ საარსებო და მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას?

მ. ხუცარიანი, ეჩმიაძინის რაიონის აკნაშენის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

დიდ შრომით აღმავლობას განამტკიცებს არა მარტო ზრუნვა მოსავლისათვის, არამედ ადამიანების, პარტიის სიბრძნის, საჯაროობისა და დემოკრატიის პრო-

...

(საქდესი).

უცხოეთში

საქდესი იუწყება
1 მარტი

● საბერძნეთი- სსრ კავშირი

შეიქმნა ახალი განყოფილება

ტრიკალა. (ცენტრალური საბერძნეთი). საბერძნეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრულად ჩამორთმეული ორი ხელი და ორი დროშა — ასეთი პლაკატით არის დამშვენებული საბერძნეთის ამ ქალაქის მუნიციპალიტეტის კულტურული ცენტრის დარბაზი, სადაც გაიმართა საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ახალი განყოფილების გახსნის საზეიმო ცერემონია.

ცერემონიაზე გამოვიდა ტრიკალის მერი ა. ტრიგონისი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა,

...

აქტიურად მოქმედებს უკვე მისი 14 განყოფილება.

საზოგადოება მართავს სსრ კავშირის დღეებს საბერძნეთში, საბჭოთა მსახიობების კონცერტებს, გამოფენებს, ახორციელებს ტურისტული ჯგუფების, მეცნიერთა დელეგაციების გაცვლას და სხვა. ტრიკალში საზოგადოების ახალი განყოფილების შექმნა, — ხაზგასმით აღნიშნა ს. პანარეტუმ, — მოწმობს საბერძნეთის მცხოვრებთა მზარდ ინტერესს სსრ კავშირისადმი.

კვლავ ძველი პოზიციებიდან

რ. რეიგანის გამოსვლა ნატოს საბჭოს სესიის წინ

ვაშინგტონი. სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების დონეზე ნატოს საბჭოს სესიის წინ, რომელიც 2 მარტს იხსნება ბრიუსელში, პრეზიდენტი რეიგანი აქ გამოვიდა რეაქციული ორგანიზაციის „ამერიკული ლეგიონის" ყოველწლიურ კონფერენციაზე.

თეთრი სახლის მეთაურმა, რომელიც ცდილობდა ტონი მიეცა ბრიუსელის შეხვედრისათვის, აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „ატლანტიკურ სოლიდარობას" და ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთევროპელ მოკავშირეებს განუცხადა, რომ ნატოს წევრ ქვეყნებთან „მუდმივი პარტნიორობა" ამერიკის ...

აბდინოს თავისი ქიმიური შეიარაღების მოდერნიზაცია". როგორც ცნობილია, ამას წინათ რეიგანმა უკვე შეატყობინა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს, რომ გადაწყვეტილი აქვს სანქცია მისცეს ბინარული ქიმიური ავიაბომბის „ბიგაის" წარმოებას, რომელსაც „საარსებო მნიშვნელობა" აქვს ...

...

თებით იყო გამსჭვალული. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო აღნიშნავს, რეიგანმა, რომელიც დაუბრუნდა „თავისი პრეზიდენტობის ერთ-ერთ ძირითად თეზისს", კვლავ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირთან საქმის წარმართვის „ერთადერთი ეფექტიანი გზა — ეს არის „ძალისმიერი პოზიციის" პოლიტიკა. თეთრი სახლის მეთაური აგრეთვე ამტკიცებდა, რომ „საბჭოთა საფრთხის" წინაშე შეერთებულმა შტატებმა „უნდა მო-

უზრუნველყოფისათვის არაფერი არ შეიძლება იყოს იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა". ეს დეკლარაციული მტკიცებანი ეწინააღმდეგება მრავალი მეცნიერისა და სპეციალისტის აზრს, რომლებმაც დიდი ხანია უკვე ნათლად განაცხადეს: სწორედ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა მისი განხორციელების შემთხვევაში მრავალგზის გაადიდებს ბირთვული ომის ალბათობას, რადგან გამოიწვევს გამალებულ ბირთვულ შეიარაღებაში ახალ საშიშ რაუნდს.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, პრეზიდენტი „უჩვეულოდ მკვახედ" დაესხა თავს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს პენტაგონის მოთხოვნების შემცირებისათვის. „თუ კონგრესი კვლავაც ცალმხრივი წესით შეამცირებს სამხედრო ხარჯებს, ეს საბჭოეთისათვის სტრატეგიული დათმობების ტოლფასოვანი იქნება", — განაცხადა რეიგანმა. მან აგრეთვე თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია სავსებით უჭერს მხარს ავღანელ დუშმანებსა და ნიკარაგუელ კონტრრევოლუციონერებს. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ კონტრრევოლუციონერებისათვის „ჰუმანიტარული დახმარების" ყოველი კანონპროექტი, რომელსაც კონგრესი წარუდგენს თეთრ სახლს, უნდა შეიცავდეს დებულებას, რომელიც ადმინისტრაციას საშუალებას მისცემს „მოითხოვოს დამატებითი ასიგნებანი ამ ფორმირებათა სამხედრო დახმარებისათვის".

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

გმობენ პროვოკაციას

ნიუ-იორკი. საერთაშორისო გაერთიანების წარმომადგენლები მოითხოვენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უზრუნველყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მუდმივი მეთვალყურის მისიის საქმიანობის ნორმალური პირობები, უარი თქვას თვითნებობის პოლიტიკაზე და განუხრელად შეასრულოს თავისი ვალდებულებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 42-ე სესიაზე გამართული დისკუსიის თითქმის ყველა მონაწილე გმობს თეთრი სახლის პროვოკაციულ წამოწყებას — დახუროს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მუდმივი წარმომადგენლის მისია. ვაშინგტონის ამ განზრახვის განსახილველად სესიამ მუშაობა განაახლა ორშაბათს არაბული ქვეყნების მოთხოვნით.

◆ ინგლისი

მხარი დაუჭირეს რასისტებს

ლონდონი. კონსერვატორებმა 56 ხმის უმრავლესობით ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატაში ჩაფუშეს ლეიბორისტთა პარტიის მიერ ორშაბათს კენჭის საყრელად გამოტანილი რეზოლუცია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ ფართო მასშტაბის ეკონომიკური სანქციების შემოღების შესახებ.

ლეიბორისტებმა ამ ღონისძიე-

...

ბას უწოდა „კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი კონფლიქტის შემდგომი პოლარიზაციის გზაზე". ამავე დროს ბრიტანეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა კატეგორიულად უარყო რასისტთა წინააღმდეგ სანქციების შემოღების იდეა.

ლიბერალური პარტიის ლიდერმა დევიდ სტილმა კონსერვატორთა მთავრობას ბრალად დასდო, რომ იგი „ეხმარება და მხარს

...

● პანამა

რეაქციის ცდა ჩაიშალა

...

სარდლის, ბრიგადის გენერლის მანუელ ანტონიო ნორიეგას გადადგომისა და ქვეყნის ხელმძღვანელობის შეცვლის ლოზუნგით. მაგრამ მხოლოდ ზოგიერთმა კერძო ფირმამ შეწყვიტა თავისი საქმიანობა. მოსახლეობამ ბოიკოტი გამოუცხადა ოპოზიციის პროვოკაციულ მოწოდებებს. ნორმალურად მუშაობს ტრანსპორტი, გახსნილია მაღაზიები, ბანკები, ყველა სახელმწიფო დაწესებულება.

საერთოდ ქვეყანაში ორშაბათს ნორმალური ვითარება იყო. მემარჯვენე ოპოზიციის მომხრეთა გამოსვლები წარუმატებლად დამთავრდა.

ტელეტაიპის ლენტიდან

...

ვიდა ავღანეთის რესპუბლიკის დელეგაცია. მას მეთაურობს საგარეო საქმეთა მინისტრი აბდულ ვაკილი. 1982 წელს დაწყებული მოლაპარაკება წარმოებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლის მეშვეობით.

● ბონი. ამერიკელი სამხედრო მოსამსახურენი შეუდგნენ ახალი სარაკეტო ბაზის მშენებლობას მიხელშტადტის (ოდენვალდის ტყის მასივი, ჰესენის მხარე) ტყვია-წამლის ყოფილი საცავების ტერიტორიაზე, აღნიშნულია „ოდენვალდის მშვიდობიანი ფორუმის" ადგილობრივი ორგანიზაციის აქ გავრცელებულ განცხადებაში.

● ლისაბონი. დღეს ლისაბონში ჩამოდის შეერთებული შტატების სამხედრო დელეგაცია გენერალ ჩარლზ ბრაუნის მეთაურობით. პენტაგონის დესპანები მოლაპარაკებას გამართავენ პორტუგალიის მთავრობის წარმომადგენლებთან სამხედრო დარგში თანამშრომლობის გაფართოების შესახებ.

ფოტოკალეიდოსკოპი

● ეგვიპტე. ამას წინათ მოხდა ამბავი, რომელმაც სერიოზული შიში გამოიწვია დიდი სფინქსის შემდგომი ბედის გამო. კოკისპირული წვიმებისა და ქვიშის ქარბორბალის შედეგად „პირამიდების მცველის" მარჯვენა მხარს მოსწყდა 800 და 200 კილოგრამი წონის ორი ლოდი. ეგვიპტის ხელისუფლებამ თხოვნით მიმართეს იუნესკოს, აგრეთვე მთელი რიგი ქვეყნების მეცნიერებს მონაწილეობა მიიღონ სფინქსის გადარჩენის საშუალებების შემუშავებაში.

ხურათზე: ეგვიპტის კულტურის მინისტრი ფარუკ ხნი (მარჯვნივ) და არქეოლოგიის დოქტორი ზაკი ხაფასი ათვალიერებენ მოტეხილ ლოდებს.

აპ-საქდესის ფოტო.



● გდრ. ქალაქ შვერინის სახელმწიფო არქივის უძვირესი დოკუმენტია ქალაქ როსტოკსა და გრეგტოპების მიწათმფლობელთა ოჯახს შორის დავის ოქმი. იგი 2600 გვერდისაგან შედგება. უნიკალური დოკუმენტი 248 წლისაა.

ადნ-საქდესის ფოტო.

ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე

...მეათე დღე, რომელიც ნატალია კოვალჩუკმა სან-ხუანში გაატარა, ყველაზე შავბნელი გამოდგა მის სიცოცხლეში. არაერთხელ გაუგონია და წაუკითხავს დასავლელ „სულებზე მონადირეთა" ამბები, მაგრამ სერიოზულად თითქმის არც სჯეროდა. ახლა კი ნიკიტინის ხისტ მონოლოგს რომ ისმენდა, იმ კაცისას, რომელსაც ერთი საათის წინ ასე ენდობოდა, ფიზიკურ ტკივილს განიცდიდა თავსდამტყდარი უბედურებით. ხსნა კი არსაიდან ჩანდა. გამოწოდებული ბურთულიანი კალამი გამოართვა და კონტრაქტს ხელი მოაწერა...

შავი ზღვის ტვირთსაზიდი ხომალდის „ასკოლდის" თანაზომიერ სვლაში, რომელსაც გეზი კანარის კუნძულებისაკენ ჰქონდა აღებული, ანაზდად შეიჭრა განგაში. მზარეულ ნატალია კოვალჩუკს აპენდიციტმა შეუტია. მედიკოსებმა გადაწყვიტეს, უახლოესი ნავსადგურის საავადმყოფოში დაეწვინათ. ასეთი აღმოჩნდა კუნძულ პუერტო-რიკოს მთავარი ქალაქი სან-ხუანი; ამ კუნძულს 1952 წელს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „თავისუფლად შემოერთებული სახელმწიფოს" სტატუსი მიანიჭეს.

ატლანტიკას ოხშივარი ასდიოდა. ოცი წლის ქალიშვილი ნატალია, კომკავშირელი, მისთვის უცხო და იდუმალ სამყაროში დატოვეს. იგი დაიმედებული იყო, რომ საბჭოთა სახელმწიფო ყველა ხარჯს გაიღებდა, რაც მკურნალობასთან იქნებოდა დაკავშირებული, მაგრამ მაინც ღელავდა — ოპერაციას პირველად იკეთებდა. მოსალოდნელი მარტოობა და ენის უცოდინარობაც აფიქრებდა.

წუხილი ფუჭი აღმოჩნდა. პირველსავე დღეს პრესვიტერიანული თემის უმფორდის ჰოსპიტალში, ახალგაზრდული შესახედაობის, მრგვალსახიანი მანდილოსანი რუსლანა გრიგოლის ასული გრდიანი მოევლინა. იგი თავისუფლად საუბრობდა რუსულად. ნატალიას უთხრა, რომ შეასრულებს თარჯიმნის, აგრეთვე შუამავლის როლს განსაცდელში ჩავარდნილ რუს პაციენტ ქალსა და ექიმებს შორის. მზრუნველმა გრდიანმა მხოლოდ კბილის პასტა, სავარცხელი, პარფიუმერია და წვენები როდი მოუტანა, „სულიერი" საზრდოც თან მოაყოლა — სოლჟენიცინის წიგნი „გულაგის არქიპელაგი" და ჟურნალები ამერიკული რეკლამითა და კინოს ვარსკვლავთა ფერადი პორტრეტებით. ქირურგი ანჟელ ლუის ლოპეს რუისიც, რომელმაც უზადოდ გაუკეთა ოპერაცია, ალერსიანად და თავაზიანად ექცეოდა. ერთხელ რუსლანა გრიგოლის ასულს ვითომც უცაბედად წამოსცდა:

— იქნებ ნატაშა, აქ დარჩე? საქმროს გამოგიძებნით. თუნდაც, რას დაუწუნებ ამ შენს გადამრჩენს, მოხდენილ ახალგაზრდა კაცს?...

ნატაშამ თავი გაიქნია: არა! იმ წამისყოფაში დედის სევდიანი თვალები შემოეფეთა. ნატაშას აღარ ესმოდა, კიდევ რას ეუბნებოდა გრდიანი... თავისი ცხოვრების ნაწყვეტებმა გაუელვა თვალწინ: კოვალჩუკთა ბედნავსი ოჯახი, მამამ მიატოვა, თავაწყვეტილი ძმა უწნეო გზას დაადგა, საბრალო დედა მარტოხელა დარჩა... თვალი ცრემლით აევსო...

მერე რუსლანამ ერთი „ღირსეული რუსი ადამიანის" გაცნობა შესთავაზა. იმავე დღეს ორმოცდათხუთმეტი წლის თმაშევერცხლილმა მამაკაცმა მოინახულა საავადმყოფოში. მისი სადარბაზო ბარათით თუ ვიმსჯელებთ, ბატონი ანდრია ვ. ნიკიტინი (სამუშაო ადგილის ტელეფონი (9) 758-3200, ბინის — (9) 726-1962) ავტომატურ მოწყობილობათა მომსახურების ფირმის პრეზიდენტი იყო. მან ქირურგის აზრი აუწყა — ნატაშამ საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ შინ დაბრუნება არ უნდა იჩქაროს, ჯობს მოიკეთოსო. ავადმყოფს ხილი დაუტოვა და იმედი გამოთქვა, რომ უფრო ხალისიან აპარტამენტებში იხილავდა.

ნატაშას ექვსსართულიანი სასტუმრო „ტანამაში" მიუჩინეს აივნიანი ბინა საბაზანოთი და ტელეფონით. მყისვე დაიძრა მის გასართობად კეთილმოსურნე სტუმრების ნაკადი. იშვიათად რჩებოდა მარტოკა, იმისთვის, რომ ფხიზლად განესაჯა შექმნილი ვითარება. არადა, ცდუნებათა შეუკავებელი მორევი ითრევდა: ახლადმოვლენილი მეგობრები ყოველ საღამოს მიაქროლებდნენ ფეერიულ შოუზე, ღამის ბარებში, დანსინგებსა და სამორინეში. დღეები მეალია მაღაზიებში რბენას — საყიდლებს და საჩუქრებს. ჯერჯერობით ნატაშა აღტაცებული იყო: „ეს რა შესანიშნავი ადამიანები შემოიკრიბნენ ჩემს ირგვლივ!".

უცხოური ხომალდების მომსახურების ფირმის „იმბერტის" აგენტის ტონისთვის სამეურვეოდ ჩაბარებულ ნატალიას დღეგამოშვებით აძლევდა სახარჯო ფულს და ზრუნავდა მის საარსებო მინიმუმზე. სამჯერ გადასცა 50-50 დოლარი, ქვითარზე ხელის მოწერით. გარდა ამისა ამდენივე ფული უსაჩუქრა ხელმოუწერლად. ფირმის მიერ გაღებული თანხა საერთო ანგარიშს ემატებოდა (შემდგომ სსრკ საზღვაო ფლოტის სამინისტრომ ფირმას სულ ცოტა 10 ათასი დოლარი გადაუხადა). აქაც რუსლანა გრიგოლის ასული ათვითცნობიერებდა კომერციულ საქმეებში, დაჰყავდა მაღაზიებში, შველოდა ვაჭრობაში, არჩევინებდა საყიდლებს, ამასთან სულგრძელად უყიდა საკუთარი ფულით ზოლებიანი, თვალში მოსახვედრი კაბა, უსურვა: „მშვიდობაში ატარე!".

ანდრია ნიკიტინმაც მოუხშირა სასტუმროში სიარულს. ერთხელ ვითომ სხვათა შორის გადასცა ნატაშას სამი ათდოლარიანი, აიგზავნა, უთხრა: — „აიღე, გამოგადგება!". მერე საკუთარ სამოთახიან ბინაში მიიწვია, რომელიც მრავალსართულიან სახლში ჰქონდა. თავისი ცოლი ლილიანი გააცნო, ეროვნებით ფრანგი. ვისკი და ყავა სვეს. საუბარი ეხებოდა იმას, თუ რა კარგია ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრება, ხოლო ცუდი — საბჭოთა კავშირში. მერე ძირს ჩავიდნენ და მოოქროსფეროდ მოხრეშილი ბილიკებით ამავე სახლის ეზოში აუზისკენ გაემართნენ. იქ ანკარა წყალში იბანავეს. ნიკიტინებს ორი ავტომობილი უდგათ გარაჟში. მეუღლეები თავგამოდებული სპორტსმენები არიან. ყოველივე ეს კარგად დაახსომდა ნატაშას.

ფირმა „იმბერტმა", ევროპის კონტინენტზე ავიარეისების განრიგის თანახმად, რადიოგრამა გაუგზავნა სსრკ საზღვაო ფლოტის სამინისტროს — კოვალჩუკი სამშობლოში გამოემგზავრაო. მაგრამ ფრედ იმბერტი აშკარად აჩქარდა. მან არ უწყოდა, ამერიკული საიდუმლო სამსახურები რა მახეს უგებდნენ მის სამეურვეო ქალს.

ერთ დღეს სასტუმროს ნომერში, სადაც კოვალჩუკი ცხოვრობდა, ნიკიტინი მივიდა. მას თან ახლდა ორმოცი წლის მიღწეული, ჯანმაგარი მამაკაცი, რომელსაც

მ ა ხ ე

ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო სამსახურები მახეს უგებენ საბჭოთა მეზღვაურებს

ჩალისფერი კვართი ეცვა, სახელოები დაკარწახებული ჰქონდა, ქუდზე კოკარდა, ხოლო მკერდზე სპიკერი (რადიოსასაუბრო საკამე) ეკეთა.

—ფედერალური პოლიციის წარმომადგენელი გახლავთ! — წარუდგინა ნიკიტინმა.

პოლიციელი სკამზე მოკალათდა, რაღაც ქაღალდები გამოაწყო მაგიდაზე და საქმეს შეუდგა. ნიკიტინი თარჯიმნობდა. პირველი შეკითხვები საკმაოდ ჩვეულებრივს ჰგავდა: ხომალდის ტიპი, გზად შესავლელი ნავსადგურები, რეისების ხანგრძლივობა, ტვირთის სახეობა, კაპიტნისა და მისი პირველი თანაშემწის (პოლიტიკურ ნაწილში მოადგილე) ფუნქციები. კოვალჩუკი ერთს არ წაბორძიკებულა ისე უპასუხებდა. პოლიციელი დროდადრო ჩახედავდა თვალებში და დინჯად იწერდა. ნიკიტინმა მორიგი კითხვა თარგმნა:

— იყო თუ არა გემზე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მუშაკი?

ნატალიამ გაოცებით აიწურა ბეჭები:

— რატომ? რა ესაქმება იქ?

ამას უფრო უცნაური შეკითხვები მოჰყვა:

— შეუძლია თუ არა გემის კაპიტანს იმსახუროს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში? რა წესით ეწყობიან სახელმწიფო უშიშროების სამსახურში? — ბოლოს მოხდა მთავარი ამბავი, რის გამოც მთელი ეს სპექტაკლი გათამაშდა: — დარჩი ამერიკაში საცხოვრებლად! — ყოველგვარი შემზადების გარეშე პირდაპირ ახალა ხელისუფლების წარმომადგენელმა.

— კარგი შემოსავალი გექნება!

ნატალიამ ცივი უარი სტკიცა. დაყოლიებას არ შესდგომიან, არც ძალა დაუტანებიათ. უბრალოდ რომ ითქვას, ვითომც მცირე სამაგლობა შესთავაზეს — გამოსულიყო რადიოთი, უმჯობესი იქნებოდა ტელევიზორით ანდა საგაზეთო წერილით და ცოტაოდენი ჰეჰყი გადაევლო თავზე სამშობლოსათვის. ნატალიამ ამაზეც უარი განაცხადა. მაშინ აიძულეს ხელი მოეწერა ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ გაკეთებულ ჩანაწერზე. რუსულ ენაზე თარგმნა არც უთხოვია.

ამ შეხვედრის მერე ნიკიტინმა ნატალია წახალისების მიზნით სადილად დაპატიჟა რესტორანში. აქ იმათ შემოუერთდა ალექსანდრე ოდიშელიძე. მან საბანკო ფირმის მრჩევლად გაასაღა თავი, მაგრამ საუბარში ცხადი გახდა, რომ საზღვაო ფლოტის მცოდნე ბრძანდებოდა. ვითომდა სასხვათაშორისოდ საბჭოთა სამეცნიერო-კვლევითი ხომალდების ამბები გამოიკითხა — არიან თუ არა იმათ გემბანზე აკადემიკოსები? ნატალიამ ვერანაირი პასუხი ვერ გასცა — ამით არასოდეს დაინტერესებულვარო. რამდენჯერმე გამოესაუბრა საბჭოთა სამხედრო ხომალდების თაობაზე, მაგრამ იმათ შესახებაც ნატალიამ არაფერი იცოდა. მაშინ სიტყვა ჩამოუგდო შავი ზღვის სანაოსნოს ხომალდებზე, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობის, ნავსადგურების დაცვის, საშვების რეჟიმის, სასაზღვრო და საბაჟო კონტროლის გარშემო. დასასრულ „კეთილმობილმა ჯენტლმენმა" ნატალიას გაცნობის ნიშნად მაშიები აჩუქა.

ფრედ იმბერტის მიერ სსრკ საზღვაო ფლოტის სამინისტროში მისამართით გაგზავნილი რადიოგრამის შესაბამისად, ნატალიას თვითმფრინავი ის იყო მოსკოვის შემოგარენში უნდა შეფრენილიყო, მაგრამ სწორედ იმ დროს ნატალია ლილიან და ანდრია ნიკიტინებთან ერთად ავტომობილით მიჰქროდა კუნძულის ჩრდილოეთიდან სამხრეთით, რათა ქალაქ პონსეს სამხატვრო მუზეუმში სურათები დაეთვალიერებინათ. ავტოტრასის გასწვრივ სწრაფად მიჰქროდნენ ბანანის კორომები, შაქრის ლერწმის პლანტაციები, კილომეტრობით ჩარიგებული ჩვრებით, მუყაოთი და ფირფიცრებით ნაგები ქოხები, რომლებშიც პლანტაციებში დამაშვრალნი, პუერტორიკოელი მკვიდრნი ცხოვრობდნენ.

დადგა კოვალჩუკის სან-ხუანში ყოფნის მეათე დღე. დილით ნიკიტინი გამოცხადდა. ის სრულიად აღარ ჰგავდა იმ ზრდილ ჯენტლმენს, რომელიც საავადმყოფოში გაიცნო.

— ნატაშა, — დაიწყო მან მონოლოგი. — გართობა და თავის შექცევა გათავდა, გადავდივართ საქმეზე. საჩუქრები, რესტორნები, სანახაობანი უნდა ანაზღაურდეს. მუქთად არავინ ირჯება და იხარჯება. ზოგი ჩვენი დავალების შესრულება მოგიხდება. თუ არა და, სრულ ინფორმაციას მივაწვდით სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს სან ხუანში შენს საქციელსა და ნაცნობობაზე. ვფიქრობ, იქ გაგებით მოეკიდებიან აქაურ მასლაათსა და ძღვენებს. შესაძლოა კიდევ ერთი ზომის გამოყენება — დაგტოვებთ აქ, რაღა თქმა უნდა, სასტუმრო „ტანამაში" კი არა, იმ უბადრუკ ქოხებში, რომლებიც საკუთარი თვალით ნახე, როცა პონსეში მივდიოდით. გაქრება ნატალია კოვალჩუკი და კვალიც დაიფარება.

რა უნდა ეღონა? ოღონდ სულ არ გაცამტვრდეს, ოღონდ შინ ჩააღწიოს... იქ საშველი გამოჩნდება.

— რა უნდა გავაკეთო? — ჰკითხა მან.

— დიდი არაფერი, ერთი-ორის დავალებას შეასრულებ, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს იცავს. ჯაფა არ დაგადგება. გასამრჯელოს კი კარგს გადაგიხდით. წამოუშვებ და მომავალი ცხოვრება უზრუნველი გექნება. თუ მოისურვებ, საზღვარგარეთ გაემგზავრები... დედასთან ერთად, დაგეხმარებით. უცხოეთში გათხოვებას, მერე ოჯახთან შეერთებას, ყველაფერს მოვაკვარახჭინებთ. ახლობლებს კი არა ვართ ამგვარ საქმეებში... თუ განგვიდგები, იცოდე, გრძელი ხელები გვაქვს, ყველგან მოგწვდებით.

საქაღალდიდან ამოიღო ინგლისურ ენაზე დასტამბული, წინასწარ შევსებული ბლანკი, შეუდგა კითხვას და იმავდროულად თარგმნას: „მე კოვალჩუკი ნატალია საბჭოთა კავშირის მოქალაქე, 1965 წელს დაბადებული, შავი ზღვის სანაოსნოში მომუშავე, ნებაყოფლობით ვიძლევი თანხმობას ოთხი წლის მანძილზე შევასრულო ფირმის ყველა დავალება ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებისათვის. გაფრთხილებული ვარ, რომ არასოდეს გავამჟღავნო ფირმასთან ჩემი თანამშრომლობა" ქვემოთ მიწერილი იყო თანხის ოდენობა, რომელიც გადაირიცხებოდა ბანკში მის პირად ანგარიშზე და დამალული ჰქონდა ოთხნიშნა ნომერი, რომელიც აგენტს მიენიჭა.

ნიკიტინი კიდევ დიდხანს მოჰყვა ლაპარაკს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ნატალია შინ. მომხდარი ამბავი დედასაც კი არ უნდა გაანდოს. თუ ჰკითხავენ, ერთი და იგივე უნდა უპასუხოს: უგონოდ ვიყავი, მხოლოდ ოპერაციის შემდეგ მოვედი გრძნობაზე, თვითმფრინავიც შეფერხებით მოფრინავდა. ყველა აქ მყოფთა სახელი უნდა დაივიწყოს. შეუძლია მოიხსენიოს მხოლოდ ექიმი და გრდიანი.

მოსაღამოებულს ნიკიტინი ოდიშელიძემ შეცვალა. მან ნატალია, უკვე „ფირმის" აგენტი, ჩინურ რესტორანში მიიპატიჟა. სუფრასთან ინსტრუქტაჟი გაუმართა. საიდუმლო შეხვედრები დაუნიშნა ლას-პალმასში — გუმ, მაღაზია „მიშა", მონრეალში — მეზღვაურთათვის ცნობილი მაღაზია „იაშა". წინასწარ იმის ცოდნა, თუ ვინ მოვა შეხვედრაზე, არ შეიძლება, ნატალიას უამისოდაც იცნობენ. ამიტომ საჭიროა შესახედაობა, ვარცხნილობაც არ შეიცვალოს; თმა არ შეიღებოს და ყოველთვის ერთი და იგივე კაბა ეცვას (რუსლანას ნაჩუქარი ზოლებიანი კაბა). ყოველ შეხვედრაზე მას მოხლოვდება და ეტყვიან: „მე სან-ხუანიდან ვარ!". რასაც უბრძანებენ, უნდა შეასრულოს. ასევე მოილაპარაკეს საიდუმლო შეხვედრებზე ბრემენში, სტამბოლში, სინგაპურსა და სხვა სანავსადგურო ქალაქებში.

ოდიშელიძე მოითხოვდა ხომალდების ეკიპაჟებში გამორჩევით დაედგინა ლოთი მეზღვაურები, ქურდები, კონტრაბანდისტები, თაღლითები, სამეჯნურო ამბებში გარეული, ანგარებიანები, აგრეთვე სოციალიზმის ერთგულნი.

იმისათვის, რომ ახალგაზრდა აგენტს აღექვა, რა და როგორ აკეთოს, ინსტრუქტაჟს უწევდნენ არა ერთბაშად, არამედ ნაწილ-ნაწილ. მეორე დღეს ნიკიტინმა სასტუმროში მიაკითხა უკვე კონკრეტული დავალებით — კოვალჩუკი უნდა მოეწყოს რომელიმე საზღვარგარეთული რეისების ხომალდზე და მიაწოდოს ცნობები (შეიძლება ფოსტით, ოღონდ უცხოეთის ნავსადგურიდან) ხომალდისა და იმ ნავსადგურების დასახელებით, სადაც ხომალდმა უნდა შეიაროს; მეტად ახლობლური დამოკიდებულება, ინტიმურიც კი უნდა დაამყაროს ხომალდის კაპიტანთან, ყოველ შემთხვევაში მის ერთ-ერთ თანაშემწესთან მაინც; დაინტერესდეს რეისების დაგეგმვით; გააფართოოს ნაცნობობის წრე სანაოსნოში, პარტიულ ორგანოებში; მოიპოვოს ნდობა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მუშაკებს შორის, აღნუსხოს მათი სუსტი მხარეები, ჩვევები, გატაცებები. რაც მთავარია, შეატყობინოს სამხედრო ტვირთის საგანგებო გადაზიდვებზე დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში.

მალე ნატალია კოვალჩუკი ავიაკამპანია „იბერიის" თვითმფრინავით მოსკოვს გაფრინდა, მადრიდსა და კოპენჰაგენში დაშვებით. აეროპორტში ცოლ-ქმარმა გრდიანებმა გააცილეს.

— როცა ბათუმში იქნები, — ეუბნებოდა გზის დალოცვისას რუსლანა, — ეცადე „ინტურისტის" სასტუმროს ბარებში შეხვდე, აი, ამ ყმაწვილ კაცს! ეს გახლავთ ექტორ ორტიზი, საყვარელი ადამიანი. ხშირად არის ხოლმე ბათუმში, გამოგადგება, და მისი ფოტოსურათი გადასცა.

უკვე ღრუბლებზემოთა სივრცეებში მიფრინავდა ნატალია, გაახსენდა, რომ ოდიშელიძემ უთხრა, ევროპაში დაგხვდებიო. ამის დაჯერება არ სურდა. ეს „ფლოტის მცოდნე" კი მართლაც დახვდა მადრიდის აეროპორტში. სქელი, კრემისფერი კონვერტი ჩააბარა და დაავალა, კოპენჰაგენში გადაეცით. იქ, აეროვაგზალში ლუდისა და სიგარეტის ფარდულთან დაუხვდებოდა შავგვრემანი, ულვაშიანი კაცი, რომელიც ფარდულის მეპატრონესთან ვაჭრობისას, ინგლისურ სიტყვებში ჩაურთავდა რუსულს... ასე შეასრულა პირველი დავალება.

...სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ნატალია კოვალჩუკი, დაბეჩავებული და შიშით შეპყრობილი ბრუნდებოდა სამშობლოში... ცოტა ხანს შემდეგ კვლავ განაგრძო მუშაობა ხომალდ „ასკოლდზე"; შორეულ რეისებში მოგზაურობდა, შიში კი მოუშორებლად თან სდევდა. აღარ იყო კისკასა ნატაშა, როგორადაც ამხანაგები იცნობდნენ. ადვილად ღიზიანდებოდა, ფხუკიანობდა, უკარება გახდა, ადგილს ვერ პოულობდა... ერთ დღეს ბრალის აღიარებით გამოცხადდა.

მთელი წელიწადი რეზიდენტებსა და მეკავშირეებს წიდილი ჰკლავდათ, როგორმე აგენტის ამბავი შეეტყოთ ან შეხვედროდნენ. ბოლოს მოთმინება აღარ ეყოთ და ოდესაში ბარათი გაუგზავნეს. სრულად მოგვყავს ბარათი, რომელიც ინგლისურიდან არის ნათარგმნი:

„ძვირფასო ნატალია!

როგორ ხარ? იმედია, ჯერ კიდევ გახსოვარ. გაგონდება ალბათ როგორ გავიცანი „ფოლემბოიანის" მაღაზიაში, როცა მაისურს ყიდულობდი.

ხშირად გიხსენებ. ჯანმრთელობას და ბედნიერ ცხოვრებას გისურვებ. მაპატიე, რომ ბარათი დაგიგვიანე. ვიმედოვნებ, მალე მიპასუხებ. როცა შენს ბარათს მივიღებ, ბედნიერად ჩავთვლი თავს.

მაცნობე, გეთაყვა, იქნებ რაიმეს გამოგზავნა გსურდეს ამერიკიდან? აგერ ახლა ახალი ავტომობილი „ბმვ" ვიყიდე. თუ ისურვებ, მომდევნო ბარათს ფოტოსურათითურთ გამოგიგზავნი. რომელზეც გადაღებული ვიქნებით მე და ავტომობილი.

სწავლობ ან მუშაობ? თუ გინდა რუსულად მომწერე, აქ მყავს მეგობარი, [გადმომითარ]გმნის. ესპანურად, რუსულად არ შემიძლია მოგწერო. იმედი მაქვს, აგ ჩემს ნაწერში გაერკვევი.

ამავე ბარათით გატყობინებ ჩემს მისამართს, თუ დაგავიწყდა. ჩემი მისამართი ნაჩვენებია მეორე გვერდზე: — ექტორ ბ. ორტიზი — ამერიკის შეერთებული შტატები, პუერტო-რიკო, 00619, ბაიამონი, სანტა-ხუანიტა, კალე უვა 008. ჯერჯერობით ეს არის და ეს. სიყვარულით მოგიკითხავ, მომწერე. მარად შენი მეგობარი ექტორი".

ბარათს დართული აქვს რომელიღაც ესპანურენოვანი პროსპექტიდან ამონაჭერი, სადაც მოთავსებულია თვითონ ექტორ ორტიზის ფოტო, რომლის პორტრეტი რუსლანა გრდიანმა შეაჩვია ნატალიას მოსკოვს გაფრენის წინ.

ასეთია დასავლეთის სპეციალური სამსახურების მიერ მორიგი მსხვერპლის მარცხიანი გადაბირების ამბავი. ვიმედოვნებთ, ეს კარგი გაკვეთილი იქნება იმათთვის, ვისაც „ადამიანების სულებზე მონადირენი" სხვადასხვანაირი საჩუქრებითა და გართობით ხიბლავენ. ნატალია კოვალჩუკი კი განაგრძობს ცურვას შავი ზღვის სანაოსნოს ერთ-ერთ ხომალდზე და ზიზღით აგონდება ყოველივე ის, რაც თავს გადახდა სან-ხუანში ყოფნისას. საიდუმლო შეხვედრაზე არ გამოცხადდება.

ი. გაიდაენკო,
ვ. ვასილიევი,
„პრავდა", 19-I. 88 წ.
ქ. ოდესა.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

თეატრი

ისევ „ვოდევილები"

პრემიერა ს. შაუმიანის სახ. სახელმწიფო სომხურ დრამატულ თეატრში

გასულ შაბათ-კვირას თბილისის სტეფანე შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხურ დრამატულ თეატრში ხალხმრავლობა იყო. ხელახლა დაიდგა ა. ცაგარლისა და კ. ბახუტაშვილის „ძველი ქართული ვოდევილები"... რაოდენ ძვირფასია იგი თბილისელებისათვის! ეს დადგმა უშუალოდ დაკავშირებულია ქართული სცენის გამოჩენილი ოსტატის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ვასო გოძიაშვილის სახელთან.

დღეს კი სპექტაკლში მონაწილეობს შაუმიანელთა ახალი თაობა. გამოცდილ მსახიობებთან, რესპუბლიკის სახალხო არტისტთან ასი ქამკოჩიანთან, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტთან ავეტიკ სანოსიანთან, მსახიობებთან ბორის ბეგულიანთან, რობერტ აგაჯანიანთან და ოვსეპ ტატარიანთან ერთად სპექტაკლის წარმატება განაპირობა ახალგაზრდა მსახიობების ლეილა მკრტიჩიანის, ტერეზა ქამგარიანის, არტურ ბუაკიანის, რობერტ აკოპიანის შნოიანმა თამაშმა.

„ვოდევილების" განახლებული დადგმა იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ იგი საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ელენე ყიფშიძის სარეჟისორო დებიუტია.

— ძალზე გვიხარია, რომ ეს დებიუტი შედგა ჩვენთან და დიდი წარმატებაც ხვდა, — აღნიშნა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მიქაელ გრიგორიანმა. — ამ დებიუტმა ჩვენს სპექტაკლს ორმაგი წარმატება არგუნა.



— ძნელია მღელვარების დაფარვა, — აღიარა სპექტაკლის დამდგმელმა ელენე ყიფშიძემ, — ძალზე სასიამოვნოა, რომ შევძელი შემეტანა ჩემი გულითადი წვლილი ჩვენი ხალხების მეგობრობის განმტკიცების საქმეში, მსახიობებთან ვმუშაობდი მეგობრულად, რამდენადაც ვსაუბრობდით საერთო ენაზე — თეატრალური ხელოვნების ენაზე. ჩვენ გვაერთიანებდა ერთი გრძნობაც — მოწიწება ვასო გოძიაშვილის ნათელი ხსოვნის წინაშე. ეს დადგმა ტრადიციულია, და მე მოხარული ვარ, რომ შევძელით ამ ტრადიციების ერთგულნი დავრჩენილიყავით. დიდი მადლობა შაუმიანელებს, რომელთაც ჩინებულად შეასხეს ხორცი ქართული ვოდევილების მოქმედ პირთ.

მ. ჯაფაროვი,
გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის" კორესპონდენტი.

კონსტანტინე ლომია

საქართველოს

თითქოს სალი კლდე ხარ, დედამიწის ხნისა,
სიბრძნე გეპყრა ისრად, შენს გზას ერქვა წინსვლა.
ბრწყინავს შენი ნიჭი — რუსთაველის დედავ,
რუსთაველის მადლი მოსდგამს შვილთა შენთა.
გაზაფხულის დაო,
ლამაზიც ხარ, უხვიც.
თვით მშვენებამ შენს წინ — მოიყარა მუხლი.
დაიფიცებ ნესტანს, თინათინის ჯავარს,
მუდამ იცავ ნამუსს — განძეულში მთავარს.
ტარიელის ხმალი, ავთანდილის ხმალი
გეპყრა,
იყავ ციხე, ციხე — შეუვალი.
ველარ შეძლო მტერმა მამაცების მოსრა
და დიდების დაფნად ვეფხის ტყავი გმოსავს.
ო, ქართული მიწა, საარაკო მართლა,
აქ უთვალავ ჭირსაც დაუბერტყავს კალთა;
მტკვარს ამღვრევდა ფერფლი,
ცეცხლი წვავდა მინდვრებს...
ვაზის ლერწი ცრემლით მოიგონებს იმ დღეს!
თესვაშიც და მკაშიც ატარებდა ხალხი
გორგასალის მახვილს, საკაძის მახვილს
და ჯახანი ხმალთა — სასწაული ცხადად,
თითქოს იყო რეკვა ცოდვისა და მადლის.
შენს დალეწილ კოშკებს — ისტორიის გვერდებს
სახვალიო ფიქრი ისევ შეაერთებს...
ჩრდილოეთი იძმე,
შენმა დიდმა შვილმა
სამშვიდობო დილა დაგიმკვიდრა წილად.
ჩრდილოეთი იძმე, მაგრამ ჭირთა შინა
დარჩი მაინც,
მზემან გვიან გაგიცინა;
ავდარში თუ დარში ქედუხრელი დარჩი,
მტრის სიცილი იყო შენი გლოვის მარში.
დაიქანცე ბევრჯერ, ვით აღმართზე წყალი,
ბედის ვარსკვლავს მწუხრში მაინც მოჰკარ თვალი...
თებერვალში გერგო, რაც ნობათად გიძღვნა
ოქტომბერმა დიდმა, ოქტომბერმა ღვიძლმა.
ათასი წლის შემდეგ, გაჩენილი ახლად,
შენ ამაღლდი ისე, რომ მსოფლიომ გნახა!..
საქართველოს მიწავ,
საქართველოს წყალო,
ცა-ფირუზო მართლაც, მარგალიტის ცალო!
შენ ადიდებ ლენინს,
შენ მიჰყვები ლენინს,
მზის ნაქსოვი ფარჩა ახალუხად გშვენის...
თოთხმეტი ძმა გლოცავს,
მეც გილოცავ ზეიმს,
საქართველოვ, „ბზია"-ი, გამარჯვება შენი!

აფხაზურიდან თარგმნა **შოთა აკობიამ.**

ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე

სოხუმის გამომცემლობა „ალაშარამ" გამოსცა პოეტ ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ლექსების წიგნი „ახსოვს ვისლახ" (რედაქტორი — მ. ხურცილავა, რეცენზენტი — გ. სიჯინავა, მხატვარი — ლ. ევმენოვი).

გთავაზობთ ლექსს პოეტის ახალი წიგნიდან.

ფრთოსანო, ოქროსფრთიანო...

სათუთად მოვლილი ერთ-ერთი საფლავის ქვაზე
უცხო ფრინველი შევნიშნე,
როცა მივუახლოვდი
ფრთოსანმა ლამაზი ფრთების ფათქუნით სივრცეში შეინავარდა... საფლავის ქვაზე წარწერა ამოვიკითხე: „ნარსია"

ცვარ-ნამო, სხივზე ასხმულო,
შენ, ცრემლო ჩემო, ცინცხალო...
ბაჟაღლოს ყდაში ჩასმულო
წიგნო, ჯერ წაუკითხავო...
ხმალო, ფოლადო ქართულო,
დუშმანის მკერდზე ნალესო...
მსურს, მზის გვირგვინი
დაგხურო
და ლექსით მოგეალერსო.
სიცოცხლეს, მზისგან ნაბოძებს,
ვინ თქვა, წერტილი დასმია...
იქნებ, ურჩხულთან ნაბრძოლ
ძვლებს
ასვენებ, ძმაო ნარსია,
იქნებ, ამ საღმრთო ფრინველმაც,
ლოდზე ფრთები რომ დახარა,
ყველა მებრძოლის დიდებად
შენი გმირობა გვახარა?..
გული სავსეა კაეშნით,
ფიქრთა ამშლელო გრიგალო,
იქნებ, ამ უცხო მხარეში
ჩიტი ქართულ ჰანგს გიგალობს?
წუთისოფელი ასეა,
რა დღის მომსწრე ხარ, რა
წლების...
იქ, სადღაც ფერი წასვლია
ბარათებს, სისხლით დაწერილს...
როცა მაისი ფრთას გაშლის
ვარდ-ყვავილების ღიმილში,
როცა საკინძეს ბადახშის
მკერდზე დაიბნევს თბილისი,
როცა შემოსავს მთვლემარ მთებს
ურიცხვი თვალ-მარგალიტი
ხსოვნის პარნასზე კელაპტრებს
დაანთებს მამადავითი,
მეც მსურს ზეიმით ვახარო
კავკასიონის მაღალ მთებს,
რომ მისი შუქურვარსკვლავი
ვარშავის ცაზე ანათებს...
რომ გალხვა ყინვა და თოვლი,
სხივს რომ გვიკრთობდა
წინანდელს...
სულერთი არის, მნათობი
სადაც არ უნდა ბრწყინავდეს.
დაე, იბრწყინოს, იბრწყინოს,
იბრწყინოს, ენთოს, ანათოს
შუქი მშვიდობის ამქვეყნად
არ ჩამქრალიყოს არასდროს!

სპორტი

მოკლედ

ჭადრაკი. ესპანეთის ქალაქ ლინარესში გრძელდება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. ცნობილ ვაჟ დიდოსტატებთან ერთად შეჯიბრებაში მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე. ქართველი მოჭადრაკის შედეგი ჯერჯერობით მოკრძალებულია — 6 ტურში მაიამ სულ 0,5 ქულა მოაგროვა (მეექვსე ტურში იგი იუგოსლაველ ლიუბომირ ლიუბოევიჩთან დამარცხდა). ლიდერობს ჰოლანდიელი იან ტიმანი — 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. შემდეგ მოდიან ბელიავსკი — 3,5 (1), ნანი — 3,5 ლიუბოევიჩი — 3 (1), იუსუპოვი — 2,5 (2).

ჩოგბურთი. საბჭოთა ჩოგბურთელი ქალები ამთავრებენ ტურნეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ქალაქ სან-ანტონიოში აშშ ღია ჩემპიონატში ჩაება თბილისელი ლეილა მესხი. პირველ წრეში მან დაამარცხა მასპინძელთა გუნდის წევრი როზალინ ფაირბანკი — 7:6, 2:6, 6:4. ამ ტურნირში გამოდის აგრეთვე მსოფლიოს № 1 ჩოგბურთელი შტეფი გრაფი (გფრ), რომელმაც ამერიკელ ტამი მაკგრეგორს მოუგო — 6:1, 6:2.

ფეხბურთი. დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" გამარჯვებით დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი მონტევიდეოს პრიზზე. ფინალში საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ურუგვაის ჩემპიონი — „პენიაროლი".

ხელბურთი. თბილისში დამთავრდა ნორჩ ხელბურთელთა პირველი საკავშირო ტურნირი გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" პრიზზე. როგორც ჭაბუკთა, ასევე გოგონათა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს თბილისელმა სპორტსმენებმა.

კლასიკური ჭიდაობა. კრასნოდონში გამართულ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეები. პირველი ადგილები დაიკავეს კობა გულიაშვილმა (62 კგ) და გოგი კოღუაშვილმა (90 კგ), მეორე — გელა პაპაშვილმა (48 კგ), ამირან სვანაძემ (74 კგ), რამაზ გადაბაძემ (90 კგ) და კარო ჟახიანმა (100 კგ), მესამე — ნაიბ დვალიძემ (90 კგ).

კ. ტყეშელაშვილი

გარდაიცვალა 1939 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი კონსტანტინე სიმონის ძე **ტყეშელაშვილი.**

იგი დაიბადა 1907 წელს ვანის რაიონის სოფელ ქვედა ბზვანში, გლეხის ოჯახში. იქვე მიიღო დაწყებითი განათლება. ადრეული ასაკიდან შეუდგა შრომით საქმიანობას. 1929 წელს შევიდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ — 1936 წლიდან მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე, იყო მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე და სხვა. ყველგან, სადაც მას უმუშავია, იჩენდა ორგანიზატორულ ნიჭს, მთელ ძალასა და ენერგიას ახმარდა სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს კ. ტყეშელაშვილის ხანგრძლივი, უანგარო, თავდადებული შრომა, მას მინიჭებული ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო ორი ლენინის ორდენით, რამდენიმე მედლით.

სპეტაკი კომუნისტის, სოფლის მეურნეობის საქმის ჩინებული ორგანიზატორის, გულისხმიერი, თავაზიანი ადამიანის კონსტანტინე სიმონის ძე ტყეშელაშვილის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება იმათ გულში, ვისაც მასთან უმუშავია, ვინც მას იცნობდა.

ამხანაგების ჯგუფი.

შეეკითხეთ მინისტრს!

პარასკევს, 4 მარტს, 16 საათზე გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებთან მორიგი პირდაპირი სატელეფონო კავშირი ექნება საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრს ვლადიმერ კოზახიძეს

პატივცემულო ამხანაგებო! გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებს ამჯერად შესაძლებლობა და ხელსაყრელი საშუალება ექნებათ უშუალოდ ესაუბრონ ჩვენს რედაქციაში მოწვეულ **საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრს ამხ. ვლადიმერ კოზახიძეს.**

ჩვენს მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, რომ კავშირგაბმულობა დღეს უდიდეს როლს ასრულებს ყოველი საწარმო-დაწესებულების, ყოველი საბჭოთა ადამიანის, მთელი სახელმწიფოს ცხოვრებაში. განუზომელია მისი როლი და მნიშვნელობა ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებასა და კულტურული მშენებლობის საქმეში. რა თქმა უნდა, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემაში მეტად მნიშვნელოვანი დარგებია გაერთიანებული. იგი ხელმძღვანელობს ფოსტის, სატელეფონო ქსელის, ტელეგრაფის საწარმოების, ტელე და რადიოფიკაციის, ტელე და რადიომაუწყებლობის გადაცემების ტექნიკური ხარისხის სამსახურს, მრავალ სხვა ისეთ ორგანიზაციას, რომელთა გამართული მუშაობა უშუალოდ დაკავშირებულია ხალხის მომსახურების, მათი ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესების საქმესთან.

უკანასკნელ ხანს უთუოდ ბევრი რამ გაკეთდა რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სისტემის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, თანამედროვე ტექნიკით და მოწყობილობებით მისი აღჭურვისათვის, მაგრამ დასამალი არ არის, რომ რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობაში მრავალი სერიოზული ხარვეზია, გამართულად ვერ მუშაობს სატელეფონო, სატელეგრაფო ქსელი, ბევრი ნაკლია საფოსტო დაწესებულებებში, სხვა სამსახურებში. ერთი სიტყვით, გულახდილად რომ ვთქვათ, რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მთელი სისტემის საქმიანობა ჯერჯერობით ნამდვილად ვერ შეესაბამება თანამედროვე გარდაქმნის მოთხოვნებს, იმ ამოცანებს, რომლებიც მის წინაშე დგას. ამაზე ჩვენს რედაქციაში შემოსული სიგნალებიც ნათლად და გასაგებად მეტყველებს.

მორიგი სატელეფონო დიალოგის მიზანიც ის გახლავთ, რომ მკითხველებმა უშუალოდ და გულახდილად ისაუბრონ მინისტრთან იმ პრობლემებსა და კონკრეტულ საკითხებზე, რომლებიც მათ აინტერესებთ, და აზრთა გაზიარების შემდეგ საერთო საქმეს სასიკეთო ხელი დაეტყოს. შეკითხვები და, ცხადია, პასუხიც უნდა შეეხოს იმას, თუ როგორ მიმდინარეობს კავშირგაბმულობის საწარმოთა საქმიანობის გარდაქმნა, უმჯობესდება თუ არა მომსახურება, რა უშლის ხელს მთელი სისტემის და, კერძოდ, ცალკეული უბნების გამართულ მუშაობას, იმ ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრასა და გამოსწორებას, რომლებიც, სამწუხაროდ, ასე გამოხატულად ჩანს და საგრძნობია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ერთი სიტყვით, მინისტრთან დიალოგის თემა მრავალფეროვანი იქნება, შეიძლება მწვავე შეკითხვებიც დაისვას, რომლებსაც უთუოდ ამომწურავი პასუხი გაეცემა. რა თქმა უნდა, გვჯერა, რომ ასეთი დიალოგისათვის ჩვენი მკითხველები სერიოზულად მოემზადებიან, რათა გაურკვეველი არ დარჩეს არც ერთი ისეთი დეტალი, რომელიც ამ დარგის მუშაობასთან იქნება დაკავშირებული.

ცხადია, ჩვენს მკითხველებს საშუალება ექნებათ მინისტრს შეეკითხონ მათთვის საინტერესო ყველა თემაზე. ამასთან გამოთქვან სურვილი, წინადადება, შენიშვნა, მოსაზრება, რომლებიც ხელს შეუწყობს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს მთელი სისტემის გარდაქმნას, მუშაობის გაუმჯობესებას.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ვისაც არ ექნება ტელეფონით დაკავშირების საშუალება, შეუძლია შეკითხვები გამოგზავნოს წერილობით, რომლებსაც მინისტრი გაზეთის საშუალებით ან პირადად უპასუხებს. ამასთან ერთად ჩვენი რჩევაა, ყოველი შეკითხვა მოკლე, კონკრეტული და გასაგები იყოს. ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ზედმეტად არ გადავტვირთოთ ტელეფონები და სხვებსაც მივცეთ საშუალება დროულად დაუკავშირდნენ მინისტრს. უპირველეს ყოვლისა უნდა გვაცნობოთ თქვენი ვინაობა, სადაურობა, ზუსტი მისამართი და საქმიანობა. ყოველივე ეს იმისათვის არის საჭირო, რომ მინისტრს შემდგომში საშუალება ექნეს წერილობით გამოგიგზავნოთ პასუხი.

მაშ, ასე, პარასკევს, 4 მარტს, 16 საათიდან ველით თქვენს ზარს — შეკითხვებს, შენიშვნებს, პრეტენზიებს, სურვილებსა და წინადადებებს. **საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი თქვენს დარეკვას ელოდება რედაქციაში. ტელეფონი: 93-35-99; 93-26-99.**

ცხადდება კონკურსი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის გიორგი ნიკოლოზის ძე ნიკოლაძის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის უნდა მიმართოთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებას: რუსთაველის პროსპექტი, № 52, ოთახი 422. ტელ. 99-54-80.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

რედაქტორი **ნ. ფოფხაძე.**

ტელევიზია — ოთხშაბათი, 2 მარტი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — აშკარა — დაუჯერებელი. 10.35 — მხატვრული ფილმი „ბრილიანტიანი ხელი". 12.10 და 16.30 — ახალი ამბები. 16.40 — „სამი დღე ქორმანსტერის ცხოვრებიდან" (იუენო-სახალინსკი). 17.10 — აგრომრეწვის საქმენი და საზრუნავი. 18.00 — ახალი ამბები. 18.05 — „გამარჯობა, მუსიკავ!". 18.45 — „მოქმედი პირნი". ქ. ივანოვოს მსუბუქი ტაქსების პარკის დირექტორის არჩევნების შესახებ. 19.30 — დღეს მსოფლიოში. 19.50 — ფილოსოფიური საუბრები. 20.35 — მულტფილმი. 20.45 — შეხვედრა ჟურნალ „თეატრის" სარედაქციო კოლეგიასთან. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — დოკუმენტური ტელეფილმი „ეორკესტროდ". საბავშვო სახლების აღსაზრდელთა ბედი. 23.40 — მუსიკა რუნდალის სასახლეში. 0.20 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 და 10.35 — ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. X კლასი. 10.05 და 12.05 — გერმანული ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ასტრონომია. მთვარე. 11.35 და 12.35 — ზოგადი ბიოლოგია. IX კლასი. 13.05 — ჩეხოსლოვაკიური მხატვრული ტელეფილმი „იკაროსის ჩამოვარდნა". 14.45 — ბუნებასთან თანხმობით. დოკუმენტური ფილმები. 15.25 — ახალი ამბები. 15.30 — ტელეფილმი „პირველი სიხარული". მე-2 ნაწილის IV სერია. 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — მუსიკალური კიოსკი. 19.45 — ძმობის ანბანი. ტელეხიდი საბჭოთა კავშირი-ბულგარეთი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — ყველასა და თითოეულისათვის. 21.45 — მღერის და ცეკვავს ახალგაზრდობა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — მუსიკა თეატრში, კინოსა და ტელევიზიაში. კომპოზიტორი ე. არტემიევი. 0.45 — ახალი ამბები.

თბილისი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 13.05 — „ნაშუადღევს", საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.50 — კინოკურნალი „მინდა, ყველაფერი ვიცოდე". 14.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ცეცხლოვანი სამკაული". 14.30 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 15.25 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 15.35 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 15.45 — განცხადებები. 15.50 — მულტფილმები. 16.15 — ჯადოსნური ეკრანი. 16.40 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთათვის. „ცვლა". 17.35 — მოსწავლეთათვის. „ჯადოსნური საღებავი". 18.15 — პოეზია. იან გოლეშმანი. 18.45 — კონცერტი. 19.15 — გარდაქმნის წახნაგები. „ბედი ვაზისა". 20.00 — მოამბე. 20.35 — ჩვენი პრემიერა. ნ. დუმბაძის „ასტავე! ინჩუ ჰამარ!" („ღმერთო, რისთვის!"). 22.00 — „ვრემია". 22.40 — გარდაქმნის პროჟექტორი. 22.50 — კალათბურთის ვარსკვლავები.

მეორე პროგრამა. 17.35 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. დოკუმენტური ტელეფილმების პროგრამა. 18.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. 18.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „36 სიხარული". 20.00 — მოამბე. 20.35 — შემოქმედებითი პლენუმი. 21.25 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ტელეფილმი „სოფლის ამიკო".

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10679 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14